# საქართველო, რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№96 (9776) 2024 წლის 22 აგვისტო. ხუთშაბათი

ფასი 1 ლარი


ერისა და ბერის გასაგონად!

# გადადეთ ყველაფერი და გამოდით არჩევნებზე!

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს, თუ ირჩევს მშვიდობას, ირჩევს მორალურ დეგრადაციას, თუ ირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს გარე ძალებზე საქართველოს მონურ დამოკიდებულებას, თუ ირჩევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, ირჩევს კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“, თუ ირჩევს „ქართულ ოცნებას“.

იხ. მე-2-3 გვ.

„ნაციონალურ მოძრაობას“ ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მათი ხელწერა იყო ავტორიტარიზმი, ადამიანების მკვლელობა და წამება, ბიზნესის რეკეტი, ტელევიზიების მიტაცება, არჩევნების გაყალბება და მრავალი სხვა დანაშაული, რომელიც არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. 2008 წელს მათ ჩართეს საქართველო ომში, რამაც ჩვენ ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტი დააკარგვინა, 400-ზე მეტი ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლე შეიწირა და 30 ათასი ქართველი დევნილად აქცია.

## ნაციონალური მოძრაობის გასამართლება აუცილებელზე აუცილებელია!



## მრავალმხრივი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სოლომონ პავლიაშვილი

5

## დადუნ თურქაძე



## სად არის მსოფლიიო?

სად არის მსოფლიიო?
მსოფლიიო სად არის?
მოთხოვნა ფიქსია
და, თან, უებროა,
დროს ესადაგება
გახდილი ათენა
და, შარვალ (ბოლომდე)
ჩახდილი ტროა!
დრო ითხოვს, შეიქმნას
ზეკაცობრიობა —
არც დედა როა!
არც მამა როა!

9

## ჯეფრი საქსი: ამერიკის მთავრობას ერთი წუთითაც არ ვენდობი!

8

## ჩვენი ოჯახის უროლოგი

### ძალიან მავნე „N“ (ნარკოტიკი), „ვიაგრას“ ოინები და სხვა

**არჩილ ჩხოტუა:**

მომდევნო წერილში ჩვენ გავაგრძელებთ მამაკაცის ჯანმრთელობის თემას და ვისაუბრებთ წინამდებარე ჯირკვლის, ანუ პროსტატის ადენომაზე.



6

## მათი ბოლო „პილასოსშია“

## მტვერთა ღაღადი



10



თბილისის ანჩისხატის ტაძარი

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი

## ერის წინაშე ვალმოხდილი გვარის ისტორია

7

საქართველოს რესპუბლიკა

**ერისა და ბერის გასაგონად!**

# გადადეთ ყველაფერი და გამოდით არჩევნებზე!

**პირველი გვერდიდან**

**1) პირველ** რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება გვჭირდება პოლიტიკური სისტემის თვისებრივად გასაჯანსაღებლად, რისი მიღწევაც პოლიტიკიდან კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოშორების გარეშე შეუძლებელია. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე, ჩვენ დავაინიცირებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ყველა მისი სატელიტი, თუ მემკვიდრე პარტია, არაკონსტიტუციურად გამოცხადდება.

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულებრივი რეჟიმის ხელისუფლებიდან ჩამოშორების დღიდან 12 წელი გავიდა, დღემდე მისი გასამართლება ვერ მოხერხდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში, დამნაშავეების არგასამართლებას აქტიურად ითხოვდნენ მათი უცხოელი მფარველები, რამაც რეჟიმის გასამართლებას გადამწყვეტი წინაღობა შეუქმნა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევძელით კონკრეტულ უმძიმეს დანაშაულებზე სამართლის აღსრულება რეჟიმის ათობით მაღალი, საშუალო, თუ დაბალი რანგის წარმომადგენლის მიმართ, ყოფილი პრეზიდენტის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ყოფილი მინისტრებისა და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების ჩათვლით. შესაბამისმა განაჩენებმა, მთლიანობაში, წლების მანძილზე, შექმნა მყარი საფუძველი რეჟიმის გასასამართლებლად. ასევე, შეგახსენებთ, რომ გასული წლების მანძილზე წარიმართებოდა პროცესები ჰააგასა და სტრასბურგში, რომლებიც, „ქართული ოცნების“ ძალისხმევით, საქართველოს და ქართული ჯარის გამარჯვებით დასრულდა. ჰააგისა და სტრასბურგის პროცესების ფონზე, 2008 წლის დანაშაულში ჩაძიება მნიშვნელოვან რისკებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც ახლა სრულად არის მოხსნილი. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, 2008 წლის დანაშაულის მონანიების მაგივრად, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთხელ ექაჩებოდა და დღესაც ექაჩება საქართველოს ომისკენ. ამ ფონზე, ამ დანაშაულებრივი ძალის გასამართლებამ დღეს სულ სხვა აქტუალობა შეიძინა.

კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ ძლიერი გარე მფარველები ახლაც ჰყავს. ეს არიან ის ძალები, რომლებიც გასული 2 წლის განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ყველა კამპანიის, მათ შორის, მეორე ფრონტის კამპანიის ადგილობრივ თუ საერთაშორისო კოორდინაციას ახორციელებდნენ. ჩვენ ამ ძალებს უნდა დავანახოთ, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური სისტემიდან ჩამოშორება ქართველი ხალხის უდიდესი, საკონსტიტუციო უმრავლესობის გადაწყვეტილებაა. ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს ერთგვარ ნიურნბერგის პოლიტიკურ განაჩენად „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომელიც შესაბამის სამართლებრივ პროცესს მყარ ნიადაგს შეუქმნის. სწორედ გარე ფაქტორის გათვალისწინებით არის აუცილებელი „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება „ნაციონალური მოძრაობის“ გასასამართლებლად.

გამომდინარე უამრავი დანაშაულიდან, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა, მას ვერ მივცემთ უფლებას, გარე დავალებების შესრულება და სახელმწიფოსთვის მუდმივი ზიანის მიყენება განაგრძოს. დაუშვებელია ხელისუფლებაში დაბრუნების თუნდაც თეორიული შესაძლებლობა დარჩეს 2008 წლის დანაშაულის ჩამდენ პოლიტიკურ ძალას, მით უმეტეს იმ გამოწვევების ფონზე, რომლებიც საქართველოს წინაშე რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე დგას. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ოპოზიციის როლს გარედან მართული პოლიტიკოსების დანაშაულებრივი ჯგუფი - კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ასრულებს, სახელმწიფოს მუდმივად უწევს დანაღმულ ველზე სიარული, რის გამოც ქვეყნის დაკარგვის რისკი მუდმივად აქტუალური რჩება.

ყველას გვახსოვს ხელისუფლების გადატრიალების მცდელობა, რომელიც ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე გამოტანილ საეჭვო განაჩენს მოჰყვა. მოსამართლემ, რომელიც უცხოელებისგან დღემდე საეჭვო პრივილეგიებით სარგებლობს, პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალი არ გაითვალისწინა და გაუგებარი განაჩენი გამოიტანა, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. თუმცა, ოპოზიციამ და ენჯეოებმა არა მოსამართლის, არამედ პროკურატურის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენეს. მეტიც, პროტესტი რევოლუციურ პროცესებში გადაიზარდა. მაშინ საზოგადოებას გაუჭირდა იმის გააზრება, თუ ვის მიერ და რა მიზნით იყო შესაბამისი პროცესები დაგეგმილი და კოორდინირებული. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი არჩევნებამდე შედარებით დიდი ხნით ადრე და არა წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ტრაგიკულად შეიძლება დასრულებულიყო და ხელოვნურად წარმართულ სცენარს ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნება შეიძლებოდა მოჰყოლოდა. საზოგადოებას თვეები დასჭირდა იმის გასააზრებლად, რომ საქმეში ხელისუფლების არავითარი ბრალეულობა არ იყო. ეს მაგალითი იმ რისკების საუკეთესო ილუსტრაციაა, რომლებიც ხელოვნურად გაღვივებული პოლარიზაციის ფონზე, მსგავსი სცენარის ამოქმედებასთან შეიძლება იყო დაკავშირებული.

**მთელი ამ წლების განმავლობაში, საქართველოში სრულფასოვანი არჩევნები არ ჩატარებულა. ჯანსაღ დემოკრატიულ სისტემაში საზოგადოებას უნდა ჰქონდეს არჩევანი კარგსა და უკეთესს შორის. ქართულ სინამდვილეში კი, ერთ მხარეს არის „ქართული ოცნება“, რომელიც სახელმწიფოს შენარჩუნებას ცდილობს და მეორე მხარეს არის კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც მთლიანად გარედან იმართება და სახელმწიფოს გამუდმებული მტრობით არის დაკავებული. როდესაც ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა სამზე მეტი ვადით ინარჩუნებს ძალაუფლებას, ეს დემოკრატიულ პროცესს გარკვეულწილად ჩრდილს აყენებს. ჯანსაღ დემოკრატიულ სისტემაში გარკვეული პერიოდულობით ერთმანეთს ხელისუფლებაში ერთმანეთზე უკეთესი პოლიტიკური ძალები უნდა ანაცვლებდნენ, რაც დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელია. სრულფასოვანი არჩევნები საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდება, რაც პოლიტიკურ სისტემაში**

## 26 ოქტომბერს საქართველოს გადარჩენის ბედი წყდება!




**კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯანსაღი ოპოზიციური ძალები ჩაანაცვლებენ.**

ჩვენი ვალია, ქართული სახელმწიფოს წინაშე, პოლიტიკური სისტემის არაჯანსაღი მდგომარეობა სამუდამოდ შევცვალოთ და ინსტიტუციონალიზებული პარტიული სისტემა ჩამოვაყალიბოთ, რაც სრულფასოვანი დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

არ შეიძლება, ქვეყანა მუდმივად ცხოვრობდეს რევოლუციებისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში და გულხელდაკრეფილი ველოდოთ იმ ნაღმის აფეთქებას, რომელსაც კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ საშუალებით გარედან ხელოვნურად თავს მოხვეული რადიკალიზმი და პოლარიზაცია ქვია. სწორედ ამიტომ, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადება არის აუცილებელი პირობა საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებისა და გამართული დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების ჩამოყალიბებისათვის;

* * *

**2) საქართველოს** პარლამენტში უკვე ინიცირებულია კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელება მსოფლიოში და საქართველოში თანდათანობით სულ უფრო საშიშ სახეს იძენს. პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიამ, რომელიც მკრეხელობის, ქრისტიანთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისა და ლგბტ პროპაგანდის ძალზე უხეშ, აღმაშფოთებელ ელემენტებს შეიცავდა, კიდევ ერთხელ შეგვახსენა იმ საფრთხის მასშტაბი, რომელიც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელებას უკავშირდება.

ამ იდეოლოგიას არაფერი აქვს საერთო ადამიანის უფლებების დაცვასთან და მისი ერთადერთი მიზანი ღირსებისგან, მორალისგან და ყოველგვარი იდენტობისგან ადამიანის სრული დაცლაა. ადამიანმა დანამდვილებით ისიც კი არ უნდა იცოდეს, კაცია თუ ქალი. ადამიანმა არ უნდა იცოდეს საკუთარი ფესვები, საკუთარი ქვეყნის ისტორია, მას არ უნდა ჰქონდეს ეროვნული, რელიგიური თუ პიროვნული იდენტობა. ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის ამოცანა ყველაზე დაბალი რანგის მონის გამოყვანაა, რომელიც მანიპულირებას იოლად დაექვემდებარება.

საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება „ქართულ ოცნებას“ მისცემს ზემოაღნიშნული კონსტიტუციური კანონპროექტის მიღების შესაძლებლობას, რაც ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვას უმაღლეს კონსტიტუციურ ხარისხში განამტკიცებს.

კონსტიტუციური კანონის მიღების შემდეგ, ვერავინ ვეღარასოდეს მოგვახვევს თავს ერთნაირსქესიანთა ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის, ერთნაირსქესიანთა წყვილის მიერ ბავშვის აყვანის, ან სქესის შეცვლის ოპერაციის დაკანონებას, ქალისა და მამაკაცის გარდა სხვა ე.წ. სქესის სამართლებრივად დადგენას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდას და სხვა მანკიერებებს, რომლებმაც მრავალი ქვეყანა უკვე ძალზე მძიმე შედეგებამდე მიიყვანა;

* * *

**3) ჩვენი** ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში, აუცილებელი გახდება საქართველოს კონსტიტუციის ცვლილება, რათა საქართველოს მმართველობის სისტემა და ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა ახალ რეალობასთან მოვიდეს შესაბამისობაში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს გარშემო მოვლენები ძალზე დინამიკურად ვითარდება, ამგვარი მოცემულობისთვის ნებისმიერ დროს უნდა ვიყოთ მზად. ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივი მიდგომების გათვალისწინებით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ასეთ შემთხვევაშიც გარე დავალებას შეასრულებენ და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის აუცილებელ საკონსტიტუციო ცვლილებებს აუცილებლად წინ აღუდგებიან. შესაბამისად, „ქართულ ოცნებას“ ესაჭიროება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას ვერავინ შეუქმნას დაბრკოლება;

**4) არის კიდევ ერთი, მეოთხე საკითხი, რომლის კონსტიტუციით მოწესრიგებასაც**

**გამომდინარე უამრავი დანაშაულიდან, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა, მას ვერ მივცემთ უფლებას, გარე დავალებების შესრულება და სახელმწიფოსთვის მუდმივი ზიანის მიყენება განაგრძოს.**

ერისა და ბერის გასაგონად!

**საქართველოს თვითმყოფადობისა და ეროვნული ფასეულობების დასაცავად უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, ამ საკითხზე კონსულტაციები კვლავაც გრძელდება და მასზე ჩვენს პოზიციას, სავარაუდოდ, თვის ბოლომდე გაგიზიარებთ.**

* * *

**ზემოაღნიშნული** სტრატეგიული ამოცანების გადაჭრას საქართველოს გრძელვადიანი სტაბილური განვითარებისათვის საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, ამასთან ერთად, არის კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, და მეტიც - კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაჭრაც „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღებას მოითხოვს. საქართველო ახლაც ომის უშუალო საფრთხის წინაშე დგას, რომლის თავიდან არიდება დღეს და ხვალ საქართველოს უპირველესი ამოცანაა. საკმარისია მცირე გადაცდომა, ერთი ფეხის გადაბრუნება და ქვეყანა შეიძლება საერთოდ დავკარგოთ, რის შემდეგაც არა მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებს, არამედ საერთოდ არაფერს ფასი აღარ ექნება. ახლა, როდესაც რეგიონში ომი უკანასკნელ თვეებს ითვლის, ქართულ საზოგადოებას მართებს მაქსიმალური მობილიზაცია, რათა დღემდე დიდი ძალისხმევით შენარჩუნებული მშვიდობა ხელიდან არ გავუშვათ და ქვეყანას ნგრევა და განადგურება თავიდან ავაცილოთ. ახლა მთავარია, ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყანა როგორმე შევინარჩუნოთ და შემდეგ, მის შეუფერხებელ განვითარებას ვეღარაფერი დაუდგება წინ.

2020, ან 2021 წელს სახლში დარჩენილ, ან ოპოზიციის ამომრჩეველს რომ გაემარჯვა, დღეს საქართველო უკრაინაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და ქვეყანა აღარ გვექნებოდა. სამომავლოდ, ამგვარი რისკი თეორიულ დონეზეც კი აღარ უნდა დავუშვათ.

რაც უფრო დიდი იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო მხარდაჭერა, მით უფრო მცირე იქნება საქართველოს არაკეთილმოსურნეთა ცდუნება, კიდევ ერთხელ სცადონ ქვეყნის არევა, ხელისუფლებაში აგენტურის, ანუ ადგილობრივი ომის პარტიის დაბრუნება და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა. რაც უფრო დიდი იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო მხარდაჭერა, მით უფრო მშვიდი იქნება ნოემბერი, დეკემბერი და მომდევნო 4 წელიწადი. რაც უფრო მეტი იქნება „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა, მით უფრო ნაკლები ბარიერი შეექმნება ქვეყნის საერთო წინსვლას და ეკონომიკურ განვითარებას.

შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი ამოცანა ამ არჩევნებზე მშვიდობის მაქსიმალურად განმტკიცებაა, რისთვისაც თითოეული ამომრჩევლის ხმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, მანდატების რამდენ პროცენტსაც მიიღებს „ქართული ოცნება“, ზუსტად იმდენი პროცენტით განმტკიცდება და გამყარდება მშვიდობა ჩვენ ქვეყანაში.

გარდა ამისა, რაც უფრო მეტ ხმას მიიღებს „ქართული ოცნება“, მით უფრო სწრაფად და ეფექტიანად გადაიტვირთება საქართველოს ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან და მით უფრო მტკიცედ იქნება დაცული საქართველოს ეროვნული ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე.

შესაბამისად, საჭიროა ქუდზე კაცი იმისათვის, რომ ქვეყნის დაკარგვის თეორიული რისკიც კი არ დავუშვათ და საქართველომ საერთაშორისო პოლიტიკაში თავისი პოზიციები მაქსიმალურად განიმტკიცოს. „ქართული ოცნებისთვის“ მიცემული თითოეული ხმა ნიშნავს მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების უფრო მტკიცე გარანტიას საქართველოსთვის.

**მოვუწოდებთ ყველა ჩვენს თანამოქალაქეს, რომლისთვისაც ძვირფასია საქართველოში მშვიდობა, ქვეყნის სტაბილურობა და ტრადიციული ფასეულობები, 26 ოქტომბერს გამოვიდეთ ქუდზე კაცი და შევქმნათ მყარი ფუნდამენტი საქართველოს ეროვნული იდენტობის დასაცავად და ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად. ვისთვისაც ძვირფასია ქვეყანა, გადადეთ ყველაფერი და გამოდით არჩევნებზე, გვერდზე გადადეთ ყველანაირი ვიწრო პოლიტიკური საკითხი, რადგან ამ არჩევნებზე არა პოლიტიკის, არამედ ქვეყნის გადარჩენის საკითხი წყდება. ყველაფერი ჩვენ ხელშია, საქართველოს ბედი ჩვენ ხელშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ და მომავალ თაობას სამართავად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველო დავუტოვოთ.**

**„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო**
2024 წლის 20 აგვისტო

## ბიძინა ივანიშვილი:

# ნაციონალური მოძრაობის გასამართლება აუცილებელზე აუცილებელია!



**დღეს მსოფლიოში და ჩვენს რეგიონში პოლიტიკური ვითარება დინამიურად იცვლება. ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს დღის წესრიგში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, რა დროსაც საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა გახდება აუცილებელი. — განაცხადა ,,ქართული ოცნების‘‘ საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მცხეთაში გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.**

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პირობებში, საჭირო გახდება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, თუმცა, ასეთ დროსაც კი, კრებსითი „ნაციონალური მოძრაობა“ ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წავა, რისი დაშვებაც არ შეიძლება. ივანიშვილის თქმით, „ქართულ ოცნებას“ უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა დაბრკოლება არ შეექმნას საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებისას.

* * *

არჩევნებზე ჩვენ გვაქვს ბევრად უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე ეს მხოლოდ მისი მოგება შეიძლება იყოს. „ქართული ოცნების“ ამოცანაა, მოვიპოვოთ საკონსტიტუციო უმრავლესობის ტოლფასი გამარჯვება, რაც საქართველოს არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან ეროვნულ ამოცანებსაც წარმატებით გადაჭრის.

* * *

საპარლამენტო არჩევნები უნდა იქცეს ნიურნბერგის პროცესად „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და ქართველმა ხალხმა უსამშობლო პოლიტიკოსებს, რომლებიც უცხოურ აგენტურას წარმოადგენენ, განაჩენი გამოუტანოს.

* * *

საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების პირობებში, კრებსით „ნაციონალურ მოძრაობას“, ვერანაირი გარე მფარველობა ვეღარ გადაარჩენს დამსახურებული სასჯელისგან.

* * *

საქართველოში ჯანსაღი არჩევნები მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდება, რაც პოლიტიკურ სისტემაში კრებსით „ნაციონალურ მოძრაობას“ პატრიოტული პოლიტიკური ძალები ჩაანაცვლებენ..“

* * *

ჩვენ წამოვიწყებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც როგორც „ნაციონალური მოძრაობა“, ისე ყველა მისი სატელიტი და მემკვიდრე პარტია აიკრძალება, რისთვისაც ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი არსებობს.

* * *

მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის განცხადებით, ქართულ ოცნებას“ პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება იმისთვის სჭირდება, რომ გაასამართლოს “ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ივანიშვილის თქმით, კრებსითი „ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოს დღესაც ომისა და არეულობისკენ ექაჩება.

* * *

„საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ სჭირდება „ნაციონალური მოძრაობის“ გასასამართლებლად. ჩვენ გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვაშოროთ ქვეყანას მძიმე სენი, რომელიც მას უკვე ორი ათწლეულია არ ასვენებს.

* * *

„ნაციონალურ მოძრაობას“ ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მათი ხელწერა იყო ავტორიტარიზმი, ადამიანების მკვლელობა და წამება, ბიზნესის რეკეტი, ტელევიზიების მიტაცება, არჩევნების გაყალბება და მრავალი სხვა დანაშაული, რომელიც არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. 2008 წელს მათ ჩართეს საქართველო ომში, რამაც ჩვენ ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტი დააკარგვინა, 400-ზე მეტი ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლე შეიწირა და 30 ათასი ქართველი დევნილად აქცია.

* * *

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კრებსითი „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს დღესაც არეულობისა და ომისკენ ექაჩება, რის გამოც მათი გასამართლება ახლა სულ სხვა აქტუალობას იძენს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ქვეყანამ მუდმივად დანაღმულ ველზე იაროს, ამისათვის კი, „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლება აუცილებელზე აუცილებელია!!!“

## საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით! თქვენ მომავალი გიყურებთ რწმენით!



მცხეთაში გამართულ რეგიონულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ უმრავლესობის ლიდერები მამუკა მდინარაძე, ირაკლი ღარიბაშვილი, კახა კალაძე, შალვა პაპუაშვილი, ირაკლი კობახიძე.

# ამერიკისგან „თეთრი ხელთათმანები“ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ სურს!

დემოკრატიის, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების საფარქვეშ შეერთებულმა შტატებმა NED-ი გამოიყენა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ინფილტრაციის, ჩარევისა და დივერსიისთვის, რითიც უხეშად დაარღვია სხვა ქვეყნების სუვერენიტეტი, უსაფრთხოებისა და განვითარების ინტერესები, საერთაშორისო სამართალი...

**არა!**

**2015 წლის 29 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც NED ოფიციალურად დასახელებულია, როგორც „არასასურველი ორგანიზაცია“ და აკრძალა მისი საქმიანობა რუსეთის ტერიტორიაზე.**

**გაგრძელება**

**5. 2022 წლის იანვრიდან 2023 წლის იანვრამდე NED-ი აფინანსებდა Atlas Network-ის გავლით თურქული ციფრული მედიის პლატფორმა daktilo1984.com-ს და მხარს უჭერდა ამ პლატფორმის აქტივობებს, რომელიც ემსახურებოდა უკმაყოფილების დათესვას, ეთნიკური დაძაბულობის, სოციალურ კონფლიქტებსა და პოლიტიკური უთანხმოების გაღვივებას.**

**6. NED დიდი ხანია აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციებს „კოსოვოში“ სერბეთის მთავრობასა და პრიშტინის დროებითი თვითმმართველობის ინსტიტუტს შორის დაძაბულობის გასაღვივებლად. 2023 წლის დეკემბერში, NED-ის მიერ დაფინანსებულმა ანალიტიკურმა ცენტრმა Sbunker-მა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ „კოსოვო“ არის შედარებით წარმატებული მაგალითი ამერიკის მხარდაჭერისა ქვეყნის მშენებლობისა და დემოკრატიის ხელშეწყობისთვის. ეს იყო მცდელობა, გაეთეთრებინათ აშშ-ის ნამდვილი განზრახვა სხვა ქვეყნებში შეჭრის და მათი დაყოფის.**

**7. NED** იყენებდა სოციალურ მედიას ირანის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის საწარმოებლად. ჰიჯაბის ტარების წესების წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დროს სოციალურ მედიაში გაჩნდა დიდი რაოდენობით ბოტები დიდი აუდიტორიებით,რომლებიც ინიღბებოდნენ პირადი ანგარიშებით ან დამოუკიდებელი მედიასაშუალებების სტატუსით, რათა გაევრცელებინათ ირანის საწინააღმდეგო ინფორმაცია და შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოება.

**8. NED-მა** და **USAID**-მა დააფინანსეს რამდენიმე უკრაინული ორგანიზაცია, რათა ემუშავათ უკრაინის სოციალური მედიის „ფაქტების შემმოწმებლებად“. მაგრამ ასეთი „ფაქტების შემოწმება“ სინამდვილეში არის ინფორმაციული ფილტრი, რომელიც შეიქმნა აშშ-ის მიერ უკრაინულ ინტერნეტსივრცეში უკრაინელი ხალხის მოსატყუებლად.

## VII. NED გამოააშკარავა და გააკრიტიკა აშშ-მა და საერთაშორისო საზოგადოებამ

**1. NED-ის ნამდვილი სახე, რომელიც ამერიკელებმა გამოააშკარავეს.**

ყოფილმა ფედერალურმა კონგრესმენმა რონ პოლმა ამას წინათ განაცხადა, რომ **NED**-მა დახარჯა ამერიკელი გადასახადის გადამხდელების ფული უცხოელი პოლიტიკოსებისა და აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი პარტიების მხარდასაჭერად, რაც აშკარად არღვევს აშშ-ს შიდა კანონმდებლობას. **NED**-ი გასცემდა „რბილ ფულს“ უცხო ქვეყნებში არჩევნების დასაფინანსებლად.

**ყოფილმა ფედერალურმა კონგრესმენმა ბარნი ფრენკმა მოითხოვა NED-ის დაფინანსების შემცირება 1980-იან წლებში. ის ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის პროფკავშირებისთვის ფულის მიცემა პოლიტიკური მიზნით, ნაცვლად იმისა, რომ დაეფინანსებინათ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ან კიბოს კვლევა, არ იყო გონივრული საქციელი.**

**2006 წლის 29 იანვარს New York Times-მა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „აშშ-დან არაერთმნიშვნელოვანმა სიგნალებმა ხელი შეუწყო ქაოსს ჰაიტიში.“ სტატიაში მოთხრობილია, როგორ დაამხო აშშ-ის მთავრობამ NED-ის მეშვეობით ჰაიტის დემოკრატიულად არჩეული მთავრობა.**

**2021 წლის სექტემბერში სტივენ კინზერმა (The New York Times-ის ყოფილმა რეპორტიორმა) გამოაქვეყნა სტატიები New York Review of Books-ის ვებსაიტზე, სადაც ნათქვამია, რომ NED თანამშრომლობს CIA-სა და USAID-თან, რათა მხარი დაუჭირონ ამბოხებულებს სხვა ქვეყნებში, იმ რეჟიმების დასამხობად, რომლებიც აშშ-ს არ მოსწონს. სტატიებში ნათქვამია, რომ NED-ის დირექტორთა საბჭოს პირველი წევრები ომების გამღვივებლები იყვნენ, ხოლო საბჭოს ამჟამინდელ წევრებს შორის არიან ყოფილი ფედერალური სენატორები, რომლებიც კუბასა და ნიკარაგუაში რეჟიმის ცვლილების ენთუზიასტები არიან. NED-ის მისიაა, დაამხოს არამეგობრული უცხო ქვეყნების მთავრობები და ხელისუფლებაში მოიყვანოს რეჟიმები, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება ამერიკის ინტერესებს.**

დასაწყისი იხილეთ N95-ში

**2.NED-ის ბოროტმოქმედებები გამოააშკარავა და გააკრიტიკა საერთაშორისო საზოგადოებამ.**

**2015 წლის** 29 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც **NED**-ი ოფიციალურად დასახელებულია, როგორც „არასასურველი ორგანიზაცია“ და აკრძალა მისი საქმიანობა რუსეთის ტერიტორიაზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა აშკარად თვალთმაქცური განცხადება, რომ რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების ბედის გამო არის „ღრმად შეშფოთებული“. **NED**-ის პროექტების უმეტესობა მიზნად ისახავდა შიდა ვითარების დესტაბილიზაციას იმ ქვეყნებში, რომლებიც ცდილობენ გაატარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად და არა ვაშინგტონის ხელმძღვანელობით.

2022 წლის მაისში რუსული საინფორმაციო სააგენტო თგშშ იტყობინებოდა, რომ ჟურნალ „ეროვნულ თავდაცვასთან“ ინტერვიუში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის თანაშემწემ ნაილ მუხიტოვმა განაცხადა, რომ **NED** ძირითადად გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე, ცდილობს მოშალოს მათი პატრიოტიზმი და შეამციროს რუსეთის როლი თანამედროვე მსოფლიო წესრიგში. „ხალხის გათავისუფლების“ საბაბით, დასავლეთი ცდილობს თავის მოქალაქეებში რუსეთის შესახებ ნეგატიური შეხედულებების დანერგვას. ფრანგმა ჟურნალისტმა ფრედერიკ შარპიემ 2008 წელს გამოაქვეყნა წიგნი „CIA საფრანგეთში: საფრანგეთის საქმეებში ჩარევის 60 წელი“, სადაც გამოააშკარავა **NED**-ის საქმიანობა საფრანგეთში და განაცხადა, რომ **NED** იღებს თანხებს სამი უწყებისგან – სახელმწიფო დეპარტამენტისგან, **USIA**-სა და **USAID**-სგან და ემსახურება აშშ-ის დიპლომატიურ და სამხედრო პოლიტიკას.

**2010 წელს** ფრანგულმა პორტალმა **Voltaire Network**-მა გამოაქვეყნა მისი დამფუძნებლის, ტიერი მეისანის სტატია, სათაურით „**NED**-ი **CIA**-ს სამართლებრივი ფანჯარა“, რომელშიც ამხილა **NED**-ის უშუალო მონაწილეობა ფრანგული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში და მისი ჩარევა საფრანგეთის არჩევნებში, ასევე, სხვა დანაშაულები.

**2018 წელს** უნგრულმა მედიამ (**Figyelo**-მ) შავ სიაში შეიტანა „უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი,“ ადამიანის უფლებათა სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება **NED**-ის მიერ, უწოდა მათ „სოროსის დაქირავებულები“ და დაადანაშაულა უცხოურ ძალებთან შეთანხმებასა და ქვეყნის სტაბილურობისთვის ძირის გამოთხრაში.

**2023 წლის აპრილში NED**-მა დაიწყო განაცხადების მიღება უპარტიო, დამოუკიდებელი მედიის დასაფინანსებლად, რომლებმაც უნდა დაიცვან ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა და მხარი დაუჭირონ სიტყვის თავისუფლებას. სტივენ კინზერმა, **The New York Times**-ის ყოფილმა რეპორტიორმა, გააფრთხილა მსოფლიო მთავრობები, რომ **NED**-ის ერთადერთი მიზანია ადამიანების დატრენინგება იმ მთავრობების დესტაბილიზაციისთვის, რომლებსაც ვაშინგტონი არ უჭერს მხარს.

რუსეთის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი (**IMEMO**) თავის სტატიაში „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის 40: ძირითად საფუძვლებზე დაბრუნება?“ წერს, რომ **NED** საშუალებას აძლევს აშშ-ის მთავრობას, განახორციელოს ერთდროულად ორდონიანი საგარეო პოლიტიკა დღევანდელ დიქტატორულ მთავრობებთან, რომლებშიც აშშ-ის მთავრობა ინარჩუნებს ურთიერთობებს, ხოლო **NED**-ი მუშაობს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვესახელმწიფოებრივ დონეზე, რათა ჩამოაყალიბოს საჭირო პოლიტიკური ძალები, რომლებსაც შეეძლებათ შეცვალონ მომავალში ეს მთავრობები. **NED**-ს შეუძლია შეასრულოს საკუთარი როლი მგრძნობიარე სფეროებში, სადაც სამთავრობო პროგრამები მოუხერხებელია.

**2023 წლის ივნისში** სააგენტო **Brasil**-მა მოიყვანა კამილა ფეიქს ვიდალის (სანტა-კატარინას ფედერალური უნივერსიტეტის პროფესორის) ციტატა, რომ **NED**-ი არის ძლიერი მტკიცებულება იმისა, რომ დემოკრატია გამოიყენება საბაბად სარგებლის მისაღებად და მორალურ საბაბად სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩასარევად.

**2016 წელს,** ინდოეთის მთავრობამ **NED**-ი იმ ორგანიზაციების სიაში შეიყვანა, რომლებიც დაკვირვების ქვეშ იქნებიან. ამის მიზეზი გახდა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გადაცემული შემოწირულობა, რომელიც განხორციელდა უცხოური შენატანების რეგულირების აქტის დებულებების დარღვევით.

დემოკრატიის, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების საფარქვეშ შეერთებულმა შტატებმა **NED**-ი გამოიყენა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ინფილტრაციის, ჩარევისა და დივერსიისთვის, რითაც უხეშად დაარღვია სხვა ქვეყნების სუვერენიტეტი, უსაფრთხოებისა და განვითარების ინტერესები, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ნორმები, მსოფლიო მშვიდობა და სტაბილურობა. ასეთი არაპოპულარული და ამაზრზენ ქმედებებს მტკიცედ გმობს საერთაშორისო საზოგადოება.

მსოფლიოს სურს მრავალპოლარულობა და საჭიროა უფრო მეტი დემოკრატია საერთაშორისო ურთიერთობებში. ყველა ქვეყანას აქვს უფლება, აირჩიოს განვითარების გზა, რომელიც შეესაბამება მის ეროვნულ რეალობას და მისი ხალხის საჭიროებებს. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია სხვა ქვეყნებს ლექციები უტაროს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე, მით უმეტეს, გამოიყენოს დემოკრატია და ადამიანის უფლებები სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის შელახვის, მათ საშინაო საქმეებში ჩარევისა და იდეოლოგიური დაპირისპირებისთვის. კაცობრიობის საერთო ფასეულობების – მშვიდობის, განვითარების, სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოების წევრები უნდა ჩაერთონ ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის საფუძველზე აზრთა გაცვლასა და დიალოგში და ერთად იმუშაონ კაცობრიობის წინსვლისთვის.



# მრავალმხრივი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე



**დაბადებიდან 65 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს სოლომონ პავლიაშვილს.**

სოლომონ პავლიაშვილმა 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი ეკონომისტის სპეციალობით, ხოლო 1982-1986 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში, 1990-1992 წლებში – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში.

მეცნიერებათა კანდიდატია 1989 წლიდან, 1993 წლიდან კი – დოცენტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა 1999 წელს, პროფესორის წოდება – 2001 წელს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად არჩეული იქნა 2021 წელს.

1994 წელს დიდი ბრიტანეთში (ჩრ. ირლანდია) ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის (**TACIS**) ფარგლებში გაიარა საჯარო სექტორის მენეჯმენტის სასწავლო პროგრამა. 1995-1999 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი 1982-1984 წლებში მუშაობდა თსუ-ს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და მართვის კათედრის ასისტენტად, 1986 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორია. 1993-1999 წლებში იყო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, სოციალური დაზღვევის ინსპექციის უფროსი;

1999-2001 წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, საფინანსო – საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი 2001-2003 წლებში იყო საქართველოს ქონების მართვის მინისტრი, ხოლო 2003-2004 წლებში – საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე; 2011-2016 წ.წ. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორია; 2016 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მთავარი მრჩეველია; 2016-2017 წლებში სოლომონ პავლიაშვილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილეა; ასრულებდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოვალეობას. 2017 წლის ბოლოს დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ, სადაც დღემდე მუშაობს.

**აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილს გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 17 მონოგრაფია (სახელმძღვანელო) მაკროეკონომიკის, მიკროეკონომიკის, აგრარული მეცნიერებების, გარემოს დაცვის, მწვანე ეკონომიკის, ცირკულარული ეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ადგილისა და როლის შესახებ, საქართველოში და უცხოეთის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, გერმანია, იაპონია, პოლონეთი, იტალია, უკრაინა, უნგრეთი, ინგლისი, შვედეთი და სხვ.**

აკად. სოლომონ პავლიაშვილს მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფოს ჯილდოები და პრემიები, აგრეთვე, მრავალი ჯილდო ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და პროექტებიდან, როგორებიცაა: **BIOFIN, UNDP, WWF, UNESCO** და სხვ. 1999 წელს დაენიშნა საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის სამეცნიერო სტიპენდია, ხოლო 2019 წელს მიენიჭა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია.

2023 წელს განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ოქროს მედლით“.

სოლომონ პავლიაშვილი არის მაღალი ზნეობის, თავმდაბალი, ფუტკარივით მშრომელი მრავალმხრივი მეცნიერი, მოქალაქე და მამულიშვილი.

მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, სიტყვის გაუტეხლობა და შინაგანი პასუხისმგებლობა გვაძლევს იმის გარანტიას, რომ სოლომონ პავლიაშვილი უახლოეს მომავალში მრავალ სასიკეთო საქმეს მოაგვარებს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სასარგებლოდ.

აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საპატიო წვლილის შესატანად.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# საქართველოს საინჟინრო აკადემია

## აცხადებს კონკურსს აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა ასარჩევად შემდეგ განყოფილებებში:

1. ენერგეტიკის განყოფილება;
2. მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება;
3. მანქანათმშენებლობის განყოფილება;
4. არქიტექტურის განყოფილება;
5. მშენებლობის განყოფილება;
6. საგზაო-სატრანსპორტო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება;
7. ინფორმატიკის, მართვის პროცესებისა და ნანოტექნოლოგიების განყოფილება;
8. ტელეკომუნიკაციების განყოფილება;
9. აგროსაინჟინრო და მსუბუქი მრეწველობის განყოფილება;
10. გეოლოგიისა და სამთო საქმის განყოფილება;
11. ჰიდროინჟინერიის განყოფილება;
12. საინჟინრო ეკონომიკისა და მენეჯმენტის განყოფილება;
13. ბიოენერგოინფორმატიკის განყოფილება;
14. ბიოინჟინერიის განყოფილება;
15. ტექნიკისა და საინჟინრო მეცნიერებათა ისტორიის განყოფილება;
16. სამხედრო ტექნოლოგიებისა და თეორიის განყოფილება;
17. სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისა და ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილება;
18. საინჟინრო მექანიკისა და გამოყენებითი მათემატიკის განყოფილება;
19. სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოების საინჟინრო პრობლემების განყოფილება;

საქართველოს საინჟინრო აკადემიის შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნან საინჟინრო დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, მეცნიერებისა და მრეწველობის თვალსაჩინო ორგანიზატორები, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მოღვაწე პროფესიონალები, მეცნიერებათა დოქტორები ან მათთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გამოგონებებითა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით პირადი, აღიარებული წვლილი აქვთ შეტანილი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების საქმეში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს საინჟინრო აკადემიის საორგანიზაციო განყოფილებაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება – 1 ეგზემპლარი;
- წარდგინება-რეკომენდაცია – 1 ეგზ;
- ცნობა სამეცნიერო და საინჟინრო მოღვაწეობის შესახებ – 2 ეგზ.;
- უმაღლესი განათლების დამთავრების, სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების დამადასტურებელი დიპლომებისა და ატესტატების ასლები – 2 ეგზ.;
- სამეცნიერო შრომების სია და მნიშვნელოვან საინჟინრო სამუშაოთა ჩამონათვალი – 2 ეგზ.;
- ავტობიოგრაფია – 2 ეგზ.;
- **CV** ან კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი – 2 ეგზ.;
- ავტორის არაუმეტეს 5 ძირითადი პუბლიკაციის ამონაბეჭდი, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მისი ღვაწლის შეფასების საშუალებას იძლევა – ერთი ეგზემპლარი;
- ფოტოსურათი (3X4) 3 ცალი.

აუცილებელია ყველა ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების ელექტრონული ვარიანტის წარმოდგენა.

ასარჩევ კანდიდატებს წარდგინება-რეკომენდაცია შეუძლიათ გაუწიონ საზოგადოებრივმა და სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა, ასოციაციებმა, წარმოებებმა, საინჟინრო აკადემიის რეგიონულმა ცენტრებმა ან აკადემიის ნამდვილმა წევრებმა.

საბუთები მიიღება 2024 წლის 3 სექტემბრიდან 10 სექტემბამდე, შაბათ-კვირის გარდა 12 საათიდან 16 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-8 კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 423. **E-mail**: **engacad@mail.ru**

* * *

**საქართველოს** საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით საქართველოს საინჟინრო აკადემიის საერთო კრება ჩატარდება 2024 წლის 28 სექტემბერს.

დღის წესრიგი:

1. აკადემიის წესდებაში ცვლილებების შეტანა;

2. საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტების, აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე–პრეზიდენტების, აკადემიკოს-მდივნის, განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნების, აკადემიის პრეზიდიუმის წევრების არჩევნები.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საორგანიზაციო განყოფილებას.

ტელ. **+(995 32) 238 34 88; 599 34 79 22; E-mail: engacad@mail.ru**

**საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი**

# ძალიან მავნე „N“, „ვიაგრას“ ოინები და სხვა



არჩილ ჩხოტუა

**გაზეთის ახალი რუბრიკის მეორე პუბლიკაციის თემად, პროფესორმა არჩილ ჩხოტუამ შეარჩია მამაკაცის ჯანმრთელობის ერთ-ერთი მეტად აქტუალური საკითხი – ეგრეთ წოდებული „სექსუალური დისფუნქცია“**

**— ბატონო არჩილ, მამაკაცის სექსუალური ფუნქციის დარღვევას ხალხში ხშირად „იმპოტენციად“ მოიხსენიებენ, რასაც ერთობ დამაკნინებელი ელფერი დაჰკრავს. იქნებ გაგვიმარტოთ, რა იგულისხმება მამაკაცის სექსუალურ ფუნქციაში და რა ტიპის დარღვევები შეიძლება შეგვხვდეს?**

— ეს სწორი და მეტად აქტუალური შეკითხვაა. მამაკაცის სექსუალური ფუნქცია მრავალკომპლექსური, რთული და, მე ვიტყოდი, ფაქიზი ფიზიოლოგიური აქტია, რომელიც შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: ლიბიდო, ანუ სექსუალური ლტოლვა; ერექცია; ორგაზმი, ანუ სიამოვნების შეგრძნება და ეაკულაცია, ანუ სპერმის გამოყოფა. თითოეული ეს ფუნქცია, თავისთავად, ურთულესი ფიზიოლოგიური მექანიზმების ერთობლიობაა, რომელთა დარღვევა მის მოშლას იწვევს. სქესობრივი ფუნქციის ზემოჩამოთვლილი კომპონენტები შეიძლება დაზიანდეს იზოლირებულად ან რამდენიმე ერთად, ანუ კომბინაციაში. ზუსტად უცნობია, რომელი მათგანის დარღვევისთვის განსაზღვრულია ტერმინი „იმპოტენცია“ – ალბათ, უფრო ერექციის დარღვევის, თუმცა თანამედროვე უროლოგიაში ეს ტერმინი აღარ გამოიყენება და იგი შეცვალა ტერმინმა „ერექციული დისფუნქცია“, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს პრობლემის არსს და ეხება სქესობრივი ფუნქციის სწორედ ერექციული კომპონენტის დარღვევას.

**— თქვენს მიერ ჩამოთვლილი პრობლემებიდან რომელი უფრო ხშირად გხვდებათ პრაქტიკაში და რა არის მათი განმაპირობებელი მიზეზები?**

— ჩვენს კლინიკურ პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდებიან პაციენტები **ერექციული დისფუნქციით**, რასაც მეორე ადგილზე ახლავს ლიბიდოს დაქვეითება. სიხშირით მეორე კი **ეაკულაციის** დარღვევებია.

მამაკაცის ერექციული ფუნქცია, ურთულესი და დღემდე ბოლომდე ამოუცნობი ფიზიოლოგიური მექანიზმია, რომელიც არ არის მხოლოდ გენიტალიური ორგანოების, არამედ ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, სისხლძარღვების, შინაგანი და გარეგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ ერთობლივად განხორციელებული ფუნქციაა. შესაბამისად, მის დარღვევაში აღნიშნული ორგანოების დაავადებებმა შეიძლება იქონიონ გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა. ერექციული დისფუნქციის გამომწვევი მიზეზები მრავალია და შეიძლება პირობითად ოთხ ჯგუფად დაიყოს: თანმხლები დაავადებები; იატროგენული (ანუ, სამედიცინო ჩარევების შემდგომი); იდიოპათიური (ანუ, უცნობი გენეზისის) და არასამედიცინო ფაქტორებით განპირობებული მიზეზები. ხშირად გვხვდება ასევე აღნიშნული ფაქტორების კომბინაცია, როცა საქმე გვაქვს რამდენიმე მიზეზთან.

თანმხლები დაავადებებიდან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ერექციული დისფუნქცია, აღსანიშნავია: დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა ავადმყოფობები, სიმსუქნე, ღვიძლისა და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, ფსიქო-ნევროლოგიური დაავადებები, მთელი რიგი ჰორმონალური მოშლილობა, თავისა და ზურგის ტვინის დაზიანება და სხვა.

საკმაოდ ხშირად ერექციული დისფუნქცია არის ზოგიერთი მედიკამენტის გვერდითი მოვლენა. ამ მხრივ აღსანიშნავია: არტერიული წნევის დამწევი პრეპარატები, ჰორმონალური მედიკამენტები, ანტიდეპრესანტები, ტრანკვილიზატორები, საძილე წამლები და სხვა. აქედან გამომდინარე, **მორიგი რჩევა მკითხველს: თუ პოტენციის პრობლემების გაჩენა ემთხვევა რომელიმე მედიკამენტის მიღების დაწყებას, მიმართეთ ექიმს, რათა მან დაადგინოს გამომწვევი მედიკამენტი და შეგიცვალოთ იგი.**

**— როგორც თქვენ აღნიშნეთ, არსებობს ე.წ. არასამედიცინო მიზეზებიც. რა ფაქტორები იგულისხმება არასამედიცინოში და როგორ არის შესაძლებელი მათი თავიდან არიდება?**

— არის მთელი რიგი გამომწვევი ფაქტორი, რომელთა აღკვეთა მამაკაცებს მარტივად შეუძლიათ. კერძოდ, ერექციული დისფუნქციის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი განმაპირობებელი ფაქტორია თამბაქოსა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. ნიკოტინის უარყოფითი როლი ერექციის ფუნქციაში უკვე სამ ათეულ წელზე მეტია შესწავლილი და მეცნიერულად დადგენილია. მამაკაცის სასქესო ასოში ჭარბად არის ე.წ. N-ქოლინორეცეპტორები, რომელთა გაღიზიანება ეწინააღმდეგება ერექციის დაწყებას. „N“ მას ეწოდა სიტყვა „ნიკოტინის“ აღსანიშნავად, ვინაიდან კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი მკვეთრად მგრძნობიარეა ნიკოტინის მიმართ. ანუ, ნიკოტინის რეგულარული მოხმარებით მამაკაცი ხელს უწყობს მისი სასქესო ორგანოს მუდმივად მოდუნებულ მდგომარეობაში ყოფნას. იგივე ითქმის ნარკოტიკებზეც. ასევე უნდა აღინიშნოს ალკოჰოლის ჭარბი და რეგულარული მიღების უარყოფითი როლი ერექციულ ფუნქციაში.

ამრიგად, ერექციული დისფუნქცია მრავალფაქტორიანი პრობლემაა. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა აღვნიშნე, რომ მამაკაცის ეს ფუნქცია მეტად ფაქიზია და მრავალი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ცხადია, ამ შემთხვევებში, დაავადების პრევენცია აღნიშნული ფაქტორების აღმოფხვრასა და ჯანსაღი ცხოვრების წესში მდგომარეობს.

**რჩევა მკითხველს: შეწყვიტეთ თამბაქოსა და ნარკოტიკების (ნებისმიერი სახის!) მოხმარება და თქვენ ძალიან მალე, დღეების განმავლობაში იგრძნობთ როგორც ამ ფუნქციის, ისე ზოგადად პოტენციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.**

**— ცნობილია, რომ ნარკოლოგიურმა მკურნალობამ ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. რაში მდგომარეობს მისი არსი?**

— ამ დაავადების მკურნალობა მეტად პრობლემური იყო 90-იანი წლების ბოლომდე, რაც განპირობებული იყო ეფექტიანი მედიკამენტების არარსებობით. ძირითადად გამოიყენებოდა ინექციური თერაპია, ანუ მედიკამენტების ადგილობრივად, ინექციის სახით შეყვანა, რაც ნაკლებეფექტური იყო და ყველაფერთან ერთად, ბევრი გვერდითი მოვლენა ახლდა. გარღვევა ამ დარგში, 90-იანი წლების ბოლოს მოხდა, როცა აშშ-ში დარეგისტრირდა პრეპარატი **სილდენაფილი,** უფრო კარგად ცნობილი ჩვენი მკითხველისათვის **„ვიაგრას“** სახელწოდებით, რომელმაც, შეიძლება ითქვას, „რევოლუცია“ მოახდინა ამ სფეროში. კერძოდ, თუ მკურნალობის ეფექტიანობა მანამდე 70 პროცენტის ფარგლებში იყო, ახალი პრეპარატის გამოყენებით იგი 90 პროცენტამდე გაიზარდა და რაც მთავარია, მკვეთრად შემცირდა გვერდითი მოვლენებისა და გართულებების სიხშირე.

**— ამ პრობლემაზე საუბრისას პრეპარატ „ვიაგრას“ ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით. მის შესახებ მართლაც ლეგენდები დადის და ლამის „უკვდავების წამლად“ მოიხსენიებენ. თუ შეიძლება უფრო დეტალურად გვიამბეთ მის შესახებ – რამდენად ეფექტური და უსაფრთხოა იგი?**

**— „ვიაგრა“, ანუ სილდენაფილი პირველი თაობის წარმომადგენელია მედიკამენტების ჯგუფისა, რომელსაც „ფოსფოდიესთერაზა 5-ის ინჰიბიტორები“ ჰქვია და რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში შემოვიდა კლინიკურ პრაქტიკაში. სხვათა შორის, ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ეს პრეპარატი მოწოდებული იყო სტენოკარდიის სამკურნალოდ და შესაბამისი კლინიკური კვლევაც დაიწყო დიდ ბრიტანეთში, კერძოდ უელსში, 1992 წელს. კვლევის პროცესში, სრულიად მოულოდნელად, რამდენიმე უცნაური ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, კვლევის დასრულების შემდეგ, მასში მონაწილე მამაკაცებმა უარი განაცხადეს დარჩენილი პრეპარატების დაბრუნებაზე. ამის მიზეზი გაირკვა მოგვიანებით, როდესაც გაანალიზდა კვლევის შედეგები. საბოლოოდ, სტენოკარდიის მკურნალობაში მისი ეფექტურობა არ დადასტურდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მამაკაცების დიდ უმეტესობას (დაახლოებით 80 პროცენტს) აღენიშნებოდა გახანგრძლივებული და მყარი ერექცია, რაც პაციენტების ისტორიებში დაფიქსირებული იყო როგორც თანმხლები მოვლენა.**

**ამის შემდეგ, კვლევამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა და პროცესში ჩაერთო ისეთი ფარმაცევტული გიგანტი, როგორიცაა კომპანია „ფაიზერი“. შემდგომი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა: კერძოდ, კომპანიამ დაარეგისტრირა სილდენაფილი, როგორც ერექციული დისფუნქციის სამკურნალო პრეპარატი 1996 წელს; ჩაატარა და გამოაქვეყნა კლინიკური კვლევები ორ წელიწადში; აიღო ამერიკის შეერთებული შტატების წამლის სააგენტოს ნებართვა 1998 წელს და იმავე წელს გამოიტანა პრეპარატი ბაზარზე. ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩენიდან პირველი წლის განმავლობაში, პრეპარატი შეიძინა ორ მილიონზე მეტმა მამაკაცმა (!). ამ მაჩვენებლებით, „ვიაგრა“ შესულია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე სწრაფად დარეგისტრირებული და გაყიდვადი მედიკამენტი.**

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის პრეპარატების სამეცნიერო კვლევა არ შეწყვეტილა და ინტენსიურად გრძელდება დღესაც. ზოგიერთი ეს კვლევა და მისი შედეგები არასამედიცინო და, ცოტა არ იყოს, კურიოზულიც კია. ასე მაგალითად, ისრაელელი და ავსტრალიელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ თუ სილდენაფილს ჩავამატებთ წყლით სავსე ლარნაკში, მასში ჩადებული მცენარის ყვავილობის ხანგრძლივობა ორჯერ გაიზრდება. მათ არა მარტო დაადასტურეს ეს ფაქტი, არამედ შეისწავლეს და მეცნიერულად დაასაბუთეს მისი გამომწვევი მექანიზმები.

**— როგორც თქვენი საუბრიდან ჩანს, პრეპარატი „ვიაგრა“ არა მხოლოდ სამედიცინო მიზნებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული?**

— საინტერესო და სახალისო ფაქტები ამ პრეპარატის ირგვლივ მართლაც მრავლად არის. სილდენაფილის გამოჩენამ ხელი შეუწყო გადაშენების პირას მყოფი ცხოველთა სახეობების შენარჩუნებას, და აი როგორ: როგორც უკვე აღვნიშნე, ერექციული დისფუნქციის მკურნალობა მეტად პრობლემური იყო ეფექტიანი წამლების არარსებობის გამო, რაც ნოყიერი ნიადაგი გამოდგა შავი ბაზრისთვის, სადაც მრავლად იყიდებოდა ეგზოტიკური ცხოველების სხეულის ნაწილებისაგან დამზადებულ ე.წ. „პრეპარატები“. რა არ გამოიყენებოდა: მარტორქისა და ჩრდილოეთის ირმის რქები, ვეფხვის ძვლები და სხვა. გასაგები მიზეზების გამო, ამ ე.წ. „წამლებს“ ბევრი მყიდველი ჰყავდა. სილდენაფილის გამოჩენამ მკვეთრად შეამცირა მოთხოვნა ეგზოტიკური ცხოველების რეწვაზე, რამაც მათ გადარჩენას შეუწყო ხელი.

კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს მოგახსენებთ: სილდენაფილი გახდა თალიბების წინააღმდეგ აშშ-ის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი იარაღი. როგორც აღმოჩნდა, ავღანეთში ტომთა მეთაურებში გავრცელებული პრაქტიკა იყო მრავალცოლიანობა და ბევრად ახალგაზრდა ქალებზე ქორწინება. ორივე ეს ფაქტი სერიოზული გამოწვევებს უქმნიდა ასაკოვან მამაკაცებს მეუღლეების ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ერთი კოლოფი სილდენაფილის ფასად, აშშ-ის დაზვერვა იღებდა ფასდაუდებელ ინფორმაციას თალიბების ბანაკების, იარაღით მომარაგებისა და მარშრუტების შესახებ.

**— მოდით დავუბრუნდეთ სერიოზულ თემებს. ხშირად მოსახლეობაში გავრცელებულია პრაქტიკა პრეპარატის თვითნებური, ექიმის დანიშნულების გარეშე მიღებისა. რამდენად მართებულია ის და რა რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული?**

— ისევე, როგორც სხვა დაავადებების დროს, თვითმკურნალობა დაუშვებელია. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფარმაკოლოგია მუდმივად ვითარდება. სილდენაფილი პირველი თაობის პრეპარატია და დღეს ჩვენც მოგვეპოვება ამ ჯგუფის მესამე და მეოთხე თაობის გაუმჯობესებული მედიკამენტები, რომლებიც გამოირჩევა უკეთესი ეფექტურობით, მოქმედების მეტი ხანგრძლივობითა და ნაკლები გვერდითი მოვლენებით. პრეპარატის შერჩევა,





მისი დოზა, მიღების სქემა და ხანგრძლივობა უნდა შეირჩეს ინდივიდუალურად თითოეული პაციენტისათვის, მისი პრიორიტეტების, სექსუალური გამოცდილებისა და პარტნიორული ურთიერთობების მიხედვით. ეს კი მხოლოდ ექიმს შეუძლია პაციენტის სათანადო გამოკვლევისა და მეთვალყურეობის საფუძველზე. თუმცა, თუ ეფექტი მიღწეულია და მკურნალობა გრძელდება ხანგრძლივად, პაციენტს შეუძლია თვითონ გააგრძელოს იგი ექიმის მიერ უკვე შერჩეული დოზირებითა და სქემით. ამ ჯგუფის პრეპარატების ერთ-ერთი უპირატესობა სწორედ ისაა, რომ პაციენტს შეუძლია იგი მიიღოს ხანგრძლივად, პრაქტიკულად შეუზღუდავადაც.

**რჩევა მკითხველს: არ ენდოთ ინტერნეტში, განსაკუთრებით რუსულენოვან გვერდებზე, გავრცელებულ „მედიკამენტების“ რეკლამებს. მათი დიდი უმეტესობა, თუ ყველა არა, ყალბია და არანაირი ეფექტი არ აქვს, ამიტომ მიმართეთ ექიმს. დღესდღეობით, აკადემიურ მედიცინას აქვს ამ პრობლემების მკურნალობის ძალიან ეფექტიანი საშუალებები.**

**– თქვენ უკვე შენიშნეთ, რომ ყველა მედიკამენტს აქვს გარკვეული გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებაც კი. მაინც რა არის ამ პრეპარატების ყველაზე ხშირი გვერდითი მოვლენები და რა დროს არ არის რეკომენდებული მათი დანიშვნა?**

– ბოლო თაობის მედიკამენტები ხასიათდებიან ეფექტის სწრაფი დადგომით (15-20 წუთი), მოქმედების გახანგრძლივებული სპექტრით (36-48 საათი) და უმნიშვნელო გვერდითი მოვლენებით: თავისა და კუნთების ტკივილით, წამოხურებით, ცხვირის დაგუბების შეგრძნებით, მსუბუქი თავბრუსხვევით, და სხვა, რომლებიც ან თავისით გაივლის, ან მარტივად კონტროლდება სიმპტომური მედიკამენტებით.

რაც შეეხება უკუჩვენებებს, მედიკამენტების დანიშვნის პირდაპირი უკუჩვენებაა ნიტრატების მიღება კარდიალური პრობლემების გამო (ნიტროგლიცერინი, იზოსორბიდი, და სხვა).

**რჩევა მკითხველს: არ მიიღოთ ამ ჯგუფის პრეპარატები თუ თქვენ დანიშნული გაქვთ, ან თვითნებურად იღებთ ნიტრატებს.**

ზოგადად, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონე პაციენტებში ეს პრეპარატები სიფრთხილით უნდა დაინიშნოს, მოსალოდნელი ეფექტისა და რისკების შეფასებით. მნიშვნელოვანია, ექიმმა განსაზღვროს არა მარტო ის პაციენტები, რომელთა მკურნალობა უსაფრთხოა, არამედ, უფრო მნიშვნელოვანია, სწორედ იმ პაციენტების ამოცნობა, რომლებშიც მედიკამენტი სიფრთხილით, ან საერთოდ არ უნდა დაინიშნოს.

**პაციენტი მკვეთრად გამოხატული ჭარბი წონით, მოუწესრიგებელი შაქრიანი დიაბეტით, არტერიული წნევის მაღალი დონით, მჯდომარე ცხოვრების წესით, რომელიც იღებს მრავალ სხვადასხვა მედიკამენტს, არ არის საუკეთესო კანდიდატი ერექციული პრობლემების სამკურნალოდ. პირადად მე ვერიდები ამ ჯგუფის პრეპარატების დანიშვნას პაციენტში, რომელიც მაგალითად ეწევა ორი კოლოფ სიგარეტს დღეში, მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს, ან იღებს ჭარბი რაოდენობით ალკოჰოლს რეგულარულად. მამაკაცს უნდა ჰქონდეს ნებისყოფა და შეეძლოს შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი თავისივე ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. თუ ადამიანი ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარ ჯანმრთელობაზე, ექიმი მას ვერ დაეხმარება!**

**– ბატონო არჩილ, თქვენ არაფერი გითქვამთ მკურნალობის ქირურგიული მეთოდების შესახებ. გამოიყენება თუ არა ისინი კლინიკურ პრაქტიკაში და რა დროს?**

– ეფექტიანი მედიკამენტების შემოსვლამ მკვეთრად შეამცირა ქირურგიული მკურნალობის როლი მამაკაცის ერექციული დისფუნქციის მკურნალობაში. როგორც უკვე აღვნიშნე, „სწორი“ მკურნალობის შემთხვევაში, მედიკამენტური თერაპიით შესაძლებელია კარგი ეფექტის მიღწევა შემთხვევათა 80-85 პროცენტის ფარგლებში. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ქირურგიული ჩარევა ხდება საჭირო. ოპერაციული მკურნალობის ჩვენებებია: მედიკამენტური თერაპიის არაეფექტიანობა, მენჯის ღრუს ორგანოების ტრავმული დაზიანება და სხვადასხვა ქირურგიული ჩარევების შემდგომი ერექციული დისფუნქცია. აქ იგულისხმება როგორც უროლოგიური ოპერაციები, ისე სხვა ქირურგიული ჩარევები მენჯის ღრუს ორგანოებზე. ამ დროს ზიანდება ერექციის აქტში მონაწილე სისხლძარღვები და ნერვები, რომელთა აღდგენაც შეუძლებელია. უროლოგიური ოპერაციებიდან უნდა აღვნიშნოთ შარდის ბუშტისა და პროსტატის კიბოს დროს წარმოებული ოპერაციები. ასევე, ურეთრის ტრავმული დაზიანებები მაგალითად ავტოავარიების დროს.

**– ტრადიციულად, ინტერვიუს ბოლოს გთხოვთ, დაგვიანონსოთ ჩვენი შემდეგი საუბრის თემა.**

ჩვენ გავაგრძელებთ მამაკაცის ჯანმრთელობის თემას და ვისაუბრებთ წინამდებარე ჯირკვლის, ანუ პროსტატის ყველაზე გავრცელებულ დაავადებაზე – პროსტატის ადენომაზე, ანუ კეთილთვისებიან გადიდებაზე.

**ესაუბრა**

**ოთარ ტურაბელიძე**



## სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი

# ერის წინაშე ვალმოხდილი გვარის ისტორია

**გვარი, „მხატვარი“ წარმოიშვა მესხეთში. „მხატვრები“ სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ ძირითადად თბილისის ანჩისხატისა და სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრებში. უმრავლესობას ჰქონდა დეკანოზის ხარისხი, იყვნენ მღვდლებიც. ასევე კერძო პირთა სახელით გაცემული საბუთების დამწერნი. იწოდებოდნენ ხელოვან „მხატვრებად“. სავარაუდოდ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ „მხატვართა“ დიდი ნაწილი გადასახლდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში. დღეს „მხატვრების“ გვართა წარმომადგენლები ცხოვრობენ მეტწილად თბილისში, გურიასა და ბათუმში.**

ანჩის საეპისკოპოსო ტაძრიდან, სადაც 900 წლის განმავლობაში ესვენა ხელთუქმნელი პირიღვთის ხატი, სხვა საეკლესიო სიწმინდეებთან ერთად გადმოასვენეს დროებით ჯერ ახალციხეში (1660 წელს), შემდეგ – გორში და სოფელ ჭალაში, 1664 წელს კი ხატი ჩამოაბრძანეს თბილისში, ზარის ეკლესიაში, რომელსაც შემდგომ ეწოდა ანჩისხატის ტაძარი, ანჩიდან მოსვენებულ ხელთუქმნელ პირი-ღვთის ხატს სამცხიდან მღვდელი პეტრე მესხი (მესხიშვილი) ჩამოჰყვა ცოლ-შვილით.

1664 წელს კათოლიკოსმა დომენტი II-მ პეტრეს მისცა ადგილი, „...შემდეგ დეკანოზისა ანჩისხატის ტაძარში. შემდგომ პეტრე მესხიშვილის შთამომავლები, 1680 წლიდან იყვნენ დეკანოზნი ანჩის ხატის და ზოგიერთნი სიონის ტაძრისა“.

პეტრე მესხიშვილი; შემდეგ დეკანოზი იოსებ პეტრეს-ძე 1681-1711 წლებში, დეკანოზი გრიგოლი იოსების-ძე 1711-1724 წლებში. ხელოვანი, სამეფო კარის მხატვარი, კალიგრაფი, მგალობელი და მწიგნობარი, რომელიც შემდეგ მოიხსენიება, როგორც გრიგოლ მხატვარი. მისი შვილები ალექსი და ნიკოლოზი მონაწილეობდნენ 1705-1721 წლებში მეფე ვახტანგ VI-თან წიგნების ბეჭვდაში. მეფე ვახტანგ VI-მ დეკანოზ გრიგოლ მხატვარს დაუნიშნა წლიური ჯამაგირი ხაზინიდან. 1724 წელს გრიგოლი გაჰყვა მეფე ვახტანგ VI რუსეთში და მისი ადგილი ებოძა მის ძმას დავითს.

დეკანოზი დავითი, ძე იოსებისა, ვახტანგ VI-ის შვილების აღმზრდელი იყო, რისთვისაც ეწყალობა მეფისგან 1721 წელს სოლოლაკის ბაღი. იყო მწერალი და მწიგნობარი.

დეკანოზი ალექსი (1739-1756 წ.) იყო ძე მხატვარ გრიგოლისა. ალექსის შვილები იყვნენ: ნიკოლოზი, გიორგი, დავითი, ზაქარია, იოსები, სოლომონი. ისინიც იყვნენ დეკანოზები, ანჩისხატის მგალობელნი, მწერლები, მხატვრები.

კათოლიკოს პატრიარქნი და მეფენი საუკეთესო მღვდელ დეკანოზებს ამწესებდნენ ანჩისხატის ტაძარში, რომელთა უკანასკნელი წარმომადგენელი იყო დეკანოზი დიმიტრი სოლომონის ძე მესხიშვილი.

სიონის მხატვარი გიორგი იხსენიება XVIII საუკუნის დასაწყისის საბუთებში. 1712 წელს მის შვილებს მიქაელსა და იოანეს მეფე ვახტანგ VI-მ უბოძა სითარხნის სიგელი. გიორგი მუშაობდა ვახტანგ VI-ის სტამბაში.

1776 წლის 25 იანვარს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II იონათამ მხატვარს და მის შთამომავლობას „გადასახადებისგან ათავისუფლებს და აძლევს მათ სათანადო წყალობის სითარხნის წიგნს.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული XVIII-XIX საუკუნეების მასალებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის კათოლიკოსის მახლობელნი ორნი საგვარეულონი მესხიანთი და მაღალაანთი დიდიდან პატარამდე ჩინებული მწერალ მწიგნობარნი იყვნენ. ისინი წინ უძღოდნენ მწერალ-მწიგნობრიობას, ამიტომ საქართველოს მეფენი დიდად სწყალობდნენ მესხიანთ საგვარეულოს და ამხნევებდნენ სწავლა-განათლების საქმეში.



თბილისის ანჩისხატის ტაძარი

1707 წლის ოქტომბერში საბუთს საკუთარი ბეჭდით ამოწმებს გიორგი მხატვარი.

დეკანოზი გრიგოლი (გიორგი) მხატვარი და მისი შთამომავლობა არის მრავალი საბუთის, წიგნებისა და დოკუმენტების შემდგენელ-გადამწერები, რომლებიც ფონდებშია დაცული.

ფონდებში თავიანთ თავს მოიხსენიებენ: დამწერი ანჩისხატის დეკანოზი ალექსი გრიგოლის-ძე მხატვარი; ანჩისხატის მღვდლის გრიგოლი მხატვრის ძე ალექსი იყო მოძღვარი მეფე თეიმურაზისა და დედოფლებისა თამარისა და ანახანუმისა.



ჯონი სინატაშვილი

ასევე თავიანთ თავს მხატვრებად მოიხსენიებენ; იოვანე, გიორგი, გაბრიელი, დავითი და სხვები. ისინი აგრეთვე არიან მოხსენიებულნი, როგორც მხატვარი, მესხიევი, ალექსის-ძე მესხიშვილი.

საეკლესიო ჩანაწერებში გვხვდება გვარი: მხატვარი, მესხი, მესხიშვილი.

„ოზურგეთის მაზრის სოფელ ექადიის წმინდა გიორგის ეკლესიის ჩანაწერებით დგინდება, რომ დეკანოზ გაბრიელის შვილმა დიონისე მხატვარმა და დენიადარ იესეს ასულმა აფხაზავამ იქორწინეს 1846 წელს, ამ პერიოდში ექადიაში ცხოვრობდა დეკანოზ ნიკოლოზის შვილი ალექსანდრე და მათი შთამომავლობა: ალექსანდრე, ანდრია, იოვანე, გრიგოლი, შალვა, ილია და ა.შ.

სოფელ ექადიის წმინდა გიორგის ეკლესიის ჩანაწერებით დგინდება, რომ სოფელ ექადიაში ცხოვრობდნენ მხატვართა გვარის წარმომადგენლები ოჯახებითურთ: იოანე, ლეონტი, მარკოზი, მიხაილი, ფილიპე, დავითი, იასონი და ა.შ.

სამწუხაროდ, აქ მთავრდება ერის წინაშე დამსახურებული გვარის ისტორია. დღეს რას საქმიანობენ მხატვრის გვარის წარმომადგენლები, ჩვენთვის უცნობია. სასიამოვნო იქნებოდა, აღიარებულ და შთამბეჭდავ ისტორიას დღევანდელობაც სასახელო ჰქონდეს და იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ გვარის საქმიანობის შესახებ.

მწამს, მომავალში მხატვრების საგვარეულოს შესახებ მნიშვნელოვან ამბებს შევიტყობთ...

### მცირერიცხოვან გვარს მეტი აქტიურობა მართებს

გვარი სინატაშვილი იმერეთში, კერძოდ, სოფელ რიონში წარმოშობილი გვარსახელია. სინა ქართულ ისტორიაში მრავალი მნიშვნელობით გვხვდება. პავლე ინგოროყვას ის მამაკაცის სახელად აქვს მოხსენიებული. ფუძით ნაწარმოებია შემდეგი გვარები: სვინატაშვილი, სინატაძე.

სვინატაშვილი-სინატაშვილი, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხშირად გვხვდება XVIII-XIX საუკუნეების იმერეთის ეპარქიის საეკლესიო დავთრებშიც.

გვარი ადრეულ საბუთებში სვინატაშვილად გვხვდება. სვინა, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, შვილის მომნათვლელს ნიშნავს. ამ გვარის წარმომადგენლები ხშირად მოიხსენიებიან მეფის მეჯვარეებად და შვილის მომნათვლელებად.

პირველი საარქივო ჩანაწერი სინატაშვილის გვარზე გვხვდებს 1821 წელს, გვარის წარმომადგენლები იბრძოდნენ იმერეთის მეფეების სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის მხარდამხარ. 1810 წლის 25 სექტემბერს, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, სოლომონ მეორე იძულებული გახდა, თავის მხლებლებთან ერთად ჯერ ახალციხეში, მოგვიანებით კი ტრაპიზონში გადასულიყო. გადმოცემით, სოლომონთან ერთად იყო გვარის წინაპარი სიმონ სინატაშვილი და მისი რიონელი მეგობარი, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ მეფე სოლომონს 1815 წლამდე, მის გარდაცვალებამდე. შემდეგ სიმონი და მისი მეგობარი ტრაპიზონიდან გადმოვიდნენ აჭარაში, სოფელ ჭვანაში (ჭვანას თემში), არ ამჟღავნებდნენ თავიანთ სადაურობას და როცა ვითარება იმერეთში დაწყნარდა, ჩამოვიდნენ მონატრებულ მხარეში.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ჯეფრი საქსი: ამერიკის მთავრობას ერთი წუთითაც არ ვენდობი!



**„2015 წელს, რუსებს არ უთქვამთ, რომ მათ დონბასის ტერიტორია უნდოდათ, მათ თქვეს, რომ მშვიდობა უნდა დამყარებულიყო მოლაპარაკებების მეშვეობით.** მოლაპარაკებები აღმოსავლეთ უკრაინის ეთნიკურ რუსებსა და კიევის ახალ რეჟიმს შორის მინსკი 2-ის შეთანხმებამდე მივიდა. მინსკი 2-ის შეთანხმებას გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი, მას ხელი მოაწერა უკრაინის მთავრობამ. ის ცალსახად გარანტირებული იყო გერმანიისა და საფრანგეთის მიერ. და იცით რა? როგორც პირადად ამიხსნეს, მას დასცინოდნენ აშშ-ის მთავრობის შიგნით. და ეს მას შემდეგ, რაც გაეროს უშიშროების საბჭო ერთხმად დაეთანხმა ამ შეთანხმებას. უკრაინელებმა თქვეს, რომ არ გვინდა მივცეთ ავტონომია რეგიონს, მაგრამ ეს ხელშეკრულების ნაწილია, აშშ-მა მათ უთხრა, ამაზე არ ენერვიულათ. ანგელა მერკელმა თავის ცნობილ ინტერვიუში Die ZEIT-თან, 2022 წლის ესკალაციის შემდეგ თქვა, რომ მათ იცოდნენ, მინსკი 2 მხოლოდ უკრაინისთვის დროის მიცემის ნიმუში იყო, რათა მისთვის მიეცათ დრო, რომ ძალები განემტკიცებინა. არა, მინსკი 2 იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული შეთანხმება, რომელსაც ომი უნდა დაესრულებინა. ასე რომ, როდესაც საქმე მიდგება იმაზე, ვინ არის სანდო, ვის დავუჯერო და ა.შ., ვფიქრობ, ჩემი პრობლემა არის ის, რომ მე ვიცნობ აშშ-ის მთავრობას, ვიცნობ ძალიან კარგად. მე მათ ერთი წუთითაც კი არ ვენდობი.

მინდა, რომ ეს ორი მხარე რეალურად დაჯდეს მთელი მსოფლიოს წინაშე და თქვას, რომ ეს არის პირობები და შემდეგ მსოფლიოს შეეძლება განსჯა. ჩვენ აღარ ვაპირებთ მთავრობების დამხობას უნდა თქვას შეერთებულმა შტატებმა. რუსეთმა უნდა თქვას, რომ ჩვენ არ გადავალთ ერთი ფუტითაც კი იმ საზღვრიდან რაც დადგინდება. ნატო არ გაფართოვდება. მოდით, მთელმა მსოფლიომ ნახოს, რომ შეთანხმებები ათასში ერთხელ, რეალურად მოქმედებს...“

# მაინც რატომ არ წყდება რუსეთიდან ევროპაში გაზის მიწოდება უკრაინის გავლით?

**ეს არის უკრაინაში რუსეთის შეჭრის ერთ-ერთი ყველაზე დაუჯერებელი ასპექტი: ომის დაწყებიდან ორ-ნახევარი წლისა და განმეორებითი სანქციების დაწესების შემდეგაც კი, ბუნებრივი გაზი რუსეთიდან კვლავ უკრაინის მილსადენების ქსელის მეშვეობით მიეწოდება მომხმარებლებს ევროპაში.**

არ შეცვლილა ეს იმის მიუხედავად, რომ უკრაინა, როგორც ჩანს, კონტროლს ამყარებს გაზის საზომ სადგურზე რუსეთის ქალაქ სუჯასთან, კურსკის ოლქში კიევის შეჭრის ფონზე.

გაგაცნობთ ძირითად მომენტებს, რა უნდა ვიცოდეთ უკრაინის გავლით რუსული გაზის ტრანზიტის შესახებ.

ვინ იღებს რუსეთიდან ბუნებრივ გაზს უკრაინის მილსადენების გავლით?

ბუნებრივი აირი მოედინება დასავლეთ ციმბირის გაზის საბადოებიდან მილსადენებით, რომლებიც გადის სუჯაზე, კვეთს უკრაინა-რუსეთის საზღვარს და უერთდება უკრაინის სისტემას. შემდეგ მილსადენი შედის ევროკავშირში უკრაინა-სლოვაკეთის საზღვარზე, სადაც განშტოვდება და მისი საშუალებით აირი ავსტრიის, სლოვაკეთისა და უნგრეთის გაზმომარაგების კომპანიებს მიეწოდება.

ბუნებრივი აირი გამოიყენება ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის, სამრეწველო პროცესების უზრუნველყოფისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში - სახლების გასათბობად.

რა ვითარებაა სუჯის გაზსაზომ სადგურზე?

გაზი ისევე მიედინება, როგორც ადრე. ეს გასაკვირი არ არის, რადგან უკრაინას შეეძლო, ნებისმიერ დროს შეეწყვიტა გაზის მიწოდება საკუთარი მილსადენების გავლით. ვის აქვს სადგურზე ფაქტობრივი კონტროლი ახლა, ძნელი შესამოწმებელია სამხედრო საიდუმლოებისა და იმის გამო, რომ დამკვირვებლებსა და ჟურნალისტებს მასზე წვდომა არ აქვთ.

უკრაინის ბუნებრივი აირის მილსადენების სისტემის ოპერატორის ცნობით, 13 აგვისტოს, სუჯის სადგურის გავლით უნდა გადაქაჩულიყო 42,4 მილიონი კუბური მეტრი გაზი. ეს დაახლოებით შეესაბამება გასული 30 დღის საშუალო მაჩვენებელს.

## კვლავ რატომ მიედინება აირი რუსეთიდან ევროპაში?

**ომამდე** უკრაინამ და რუსეთმა გააფორმეს ხუთწლიანი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც რუსეთი დათანხმდა, რომ გაზის გარკვეულ რაოდენობას გააგზავნიდა ევროპაში უკრაინის მილსადენი სისტემის გავლით, რომელიც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. „გაზპრომი“ ფულს გამოიმუშავებს, ხოლო უკრაინა ტრანზიტის საფასურს მიიღებდა.

ეს შეთანხმება ძალაშია მიმდინარე წლის ბოლომდე. უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა ჰერმან ჰალუშჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინა არ აპირებს მის გახანგრძლივებას ან შეცვლას.

## ომამდე ევროპა გაზის 40%-ს რუსეთიდან იღებდა

**აირი** გადაიქაჩებოდა მილსადენის ოთხი სისტემით: ბალტიის ზღვის გავლით, ბელარუსისა და პოლონეთის გავლით და უკრაინის გავლით და ასევე „თურქული ნაკადით“ - შავი ზღვით თურქეთის გავლით ბულგარეთისკენ.

ომის დაწყების შემდეგ რუსეთმა შეწყვიტა აირის მიწოდება ბალტიისა და ბელარუს-პოლონეთის მილსადენებით და მიზეზად დაასახელა უთანხმოება რუბლით გადახდის მოთხოვნის გამო.

ბალტიის მილსადენი დივერსიული აქტის სამიზნე გახდა და ის ააფეთქეს, რის დეტალებიც კვლავაც ბუნდოვანი რჩება.

რუსეთის მიერ გაზის მიწოდების შემცირებას ევროპაში ენერგეტიკული კრიზისი მოჰყვა. გერმანიას დასჭირდა მილიარდი ევროს დახარჯვა თხევადი გაზის იმპორტისთვის საჭირო მცურავი ტერმინალების ასაგებად, რადგან ამ ტიპის საწვავის ტრანსპორტირება ხომალდებით ხდება. მომხმარებლებმა შეამცირეს შესყიდვა, რადგან ფასი გაიზარდა. ნორვეგიამ და აშშ-მა ეს დეფიციტი შეავსეს და უდიდესი მიმწოდებლები გახდნენ.

ევროპამ რუსეთიდან აირის მიწოდების შეწყვეტა ენერგეტიკულ შანტაჟად შეაფასა და დასახა გეგმები, 2027 წლისთვის სრულიად შეწყვიტოს რუსეთიდან გაზის იმპორტი.

რუსეთის აირი არ აიკრძალა მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ფული რუსეთის სახელმწიფოს და რუბლის გამყარებას ხმარდება. ეს იმის დასტურია, რომ ევროპა იყო და რჩება რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებული.

## რამდენად მნიშვნელოვანია გაზი, რომელიც სუჯაზე გადის?

**სუჯაზე** გადის ევროპის გაზის იმპორტის 3%, რაც შარშან რუსეთიდან გატანილი აირის 15%-ია.

მაგრამ ევროპას კვლავ აშფოთებს ენერგომომარაგების თემა, რადგან ენერგომატარებლების იმპორტიორია და ახლახან განიცადა მკვეთრი ინფლაცია, რაც ენერგომატარებლების ფასების ზრდამ გამოიწვია. სუჯიდან მომავალი გაზის ნაკადი მნიშვნელოვანია ავსტრიის, სლოვაკეთისა და უნგრეთისთვის, რომლებსაც ახალი მიმწოდებლების მოძებნა მოუწევთ.

## როგორი მომავალი აქვს ევროპაში რუსეთის გაზის ნაკადებს?

**ევროპის** კავშირმა შეიმუშავა 2027 წლისთვის რუსეთის გაზის იმპორტზე მთლიანად უარის თქმის გეგმა, თუმცა, ბოლო დროს ამ მხრივ წინსვლა არათანაბარია.

ბოლო ორ წელიწადში ავსტრიამ რუსეთიდან გაზის იმპორტი გაზარდა 80%-დან 98%-მდე.

მართალია, იტალიამ პირდაპირი იმპორტი შეწყვიტა, ის კვლავ იღებს რუსეთის აირს ავსტრიის საშუალებით.

ევროპა აგრძელებს თხევადი გაზის შესყიდვას, რომლის წილი იმპორტში შარშან 6%-ს უდრიდა.

წლევანდელი სავაჭრო მონაცემებით, საფრანგეთში თხევადი გაზის იმპორტი თითქმის გაორმაგდა.

ამ დროს ევროკავშირის წევრებმა, რუმინეთმა და უნგრეთმა გაზის მიწოდებაზე ხელშეკრულებები გააფორმეს თურქეთთან, რომელიც გაზის იმპორტს ახორციელებს რუსეთიდან. არმიდა ვან რიიდი, ლონდონის საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტის უფროსი თანამშრომელი, თვლის, რომ „რუსული გაზი “თეთრდება” აზერბაიჯანისა და თურქეთის გავლით, რათა ევროპის მაღალი მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს“.

ის წერს, რომ ევროპის მცდელობები რუსული გაზის მოხმარების შესამცირებლად ჯერ კიდევ „შთამბეჭდავია,“ მაგრამ დასძენს, რომ „პოლიტიკური რეალობა კი ისაა, რომ ევროპის ქვეყნებისთვის უკიდურესად რთულია ენერგომომარაგების სრული დივერსიფიკაცია იმ დროს, როცა ცხოვრების ხარჯების ზრდის გამო ბევრს უკვე უწევს ბრძოლა მაღალ ინფლაციასა და კრიზისთან“.

**„რადიო თავისუფლება“**




## სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვუჩიჩმა ამერიკა ახლა „აღმოაჩინა“

**„ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი სოციალურ ქსელში სერბეთის პრეზიდენტის განცხადებას ახმიანებს, რომლის თანახმად სერბეთის საპროტესტო მოძრაობის უკან დასავლეთის ფინანსები იდგა. განცხადება ალექსანდრე ვუჩიჩმა გააკეთა და როგორც დავით ქართველიშვილი აღნიშნავს, სერბეთის გარდა, იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც მიიჩნევენ, რომ საპროტესტო აქციების უკან დასავლეთი დგას, ნიკარაგუა, ვენესუელა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მექსიკა, აზერბაიჯანი, სომხეთი და, რა თქმა უნდა, საქართველო დგანან.**



„პოლიტიკურმა „პანდემიამ“ და გაშიშვლებული პროცესების იდენტობამ მოიცვა მსოფლიო. აქამდე რატომ არჩიეს დუმილი – ამაშია საქმე. „ხალხის ძალას“ თავისი პრეცედენტის დაპატენტება რომ შეეძლოს, აუცილებლად გასაკეთებელი საქმე იქნებოდა. ამჯერად სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვუჩიჩმა „აღმოაჩინა ამერიკა“ – სერბეთის საპროტესტო მოძრაობას დასავლეთი აფინანსებდაო.

„უკანასკნელი სამი დღე ყურადღებით ვსწავლობდი, რა ოდენობის ფინანსები გაუგზავნეს ჩვენს სხვადასხვა პოლიტიკურ ენჯეოებს. წელსაც და შარშან შემოვიდა რეკორდული თანხა, საუბარია ათობით და ასობით მილიონ ევროზე. ხუმრობით, მე მთავრობის წევრებს შევთავაზე კიდეც ეს თანხები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად ჩავთვალოთ. მათი ოდენობით ჩვენ მალე რეკორდსმენები აღმოვჩნდებით,“ – განაცხადა ვუჩიჩმა.

რაც შეეხება რეკორდებს, აქ სერბეთის პრეზიდენტს რიგში მოუწევს ჩადგომა: ნიკარაგუა, ვენესუელა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მექსიკა, აზერბაიჯანი, სომხეთი და ა.შ. და, რა თქმა უნდა, საქართველო, თავისი შესაძლოა სამწუხარო პირველობით...“ – წერს დავით ქართველიშვილი.

## ჩრდილოეთ ოსეთის შემდეგ ვლადიმერ პუტინი ჩეჩნეთში ჩავიდა!



**პუტინი ჩეჩნეთის ლიდერს რამზან კადიროვს შეხვდა.**

კადიროვთან ერთად იგი ეწვია სპეცრაზმის მომზადების რუსულ უნივერსიტეტს, სადაც უკრაინის წინააღმდეგ ომში საბრძოლველად ძალებს ამზადებენ.

„თქვენთვის რთულ გადაწყვეტილებას იღებთ. ერთი საქმეა აქ, ტირში სროლა, მეორე კი – საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება, თუმცა თქვენ გაქვთ შინაგანი მოთხოვნილება, დაიცვათ მამული და ასეთი გადაწყვეტილების მიღების სიმამაცე“, – მიმართა პუტინმა სასწავლებელში გამართული შეხვედრის მონაწილეებს.

პუტინთან შეხვედრისას ჩეჩნეთის ლიდერმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთმა უკრაინაში ომის დაწყებიდან ფრონტის ზონაში 47 ათასზე მეტი მებრძოლი გაგზავნა, მათ შორის, 19 ათასი მოხალისე.

კადიროვის თქმით, ყველა მათგანმა მომზადება გაიარა სპეცრაზმის უნივერსიტეტში.

ამასთან, კადიროვის მტკიცებით, ჩეჩნეთს შექმნილი აქვს ათობით ათასი გაწვრთნილი და აღჭურვილი მებრძოლისგან შემდგარი რეზერვი, რომელიც მზად არის, „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ ზონაში ჩავიდეს!

ჟიული თოჩიძე



## სად არის მსოფლიო?
(აი, მიზეზი!)

1.
სიზმარში, შუბერტთან
შევიტყვე, ყავაზე,
რომ ორატორია
ამ სტილის ორია,
ერთია ლამანშზე,
მეორე – პარნასზე,
და, თან, აქ ომების
სჭირთ ეიფორია...

როდემდე მეცადა?
ხომ უნდა მეცადა?
რომ რაღაც მრგებოდა
ვერსალის ზავიდან,
ამიტომ ასჯერ, თუ,
ათასჯერ ნათქვამის,
მეც ისევ დაწერა
მომიხდა თავიდან!

მით უფრო, ახლახან,
პარტ-აჯაზსანდალის
პროექტის, გოდოლის
დავიწყეთ შენება,
არც ისე მაღალის,
არც ისე დაბალის,
ეს, როგორც ჩვენს გაღმელ
მეგობრებს ენებათ!

ასეა, ძველთაგან,
როდესაც ყველაფრის
მმართველიც, გამთვლელიც,
ჩამრთველიც ერთია,
იღბლად თუ ლაგამიც
გამშვენებს ტრანსფერის,
მერწმუნეთ, ამფერი
ალჩუზე ბედია!

ამ ორომტრიალში
არც ეჭვი აღარ გძრავს,
რას და რად ვაშენებთ
უსიმო ფანდურით,
მიზანი ერთია,
რომ ჩანდეს შენობა
ზე მეგობრულიც და
ქვე ამხანაგურიც!

ამბობენ, კიდევაც –
მთლად „ნოუ-ჰაუა,"
ჩვენც მოვალენი ვართ
თავს ვუკანტურებდეთ,
რომ, ვისაც რა ჟინის
სურვილი მოუვა,
სუყველა უბეში
ხელს უფათურებდეს!

2.
მერე და, სად არის
პირქუში მარკიზა,
თუკი ორ ზღვას შუა
კვლავ ცხარე ლელოა?
ო, არა, ანალენ!
ყასბებმა ფაქიზად,
რუკა, რომ ჩამოჭრეს
ის, საქართველოა!

იქნებ, ჩრდილოეთის
მწველი მზის სხივები,
მალ დასავლეთიდან
რომ ამოფოფინდნენ,
იფიქრეთ, ბედნიერ
ვარსკვლავედს მივებით
და ზღვებზეც ღაბუა
ჩიტები მოფრინდნენ!

ეს იყო მირაჟი,
ჭუბერზე, ყინვაში,
თუმც, მოვრჩეთ წვრილმანებს
და თემა დავხუროთ,
დღეს უნდა ვიხტუნოთ
ხის ფეხით სილაში,
ჩანჩურას კურტანი,
რომ დავიმსახუროთ!

იცოცხლე, მოქიშპედ
ამ „მადლშიც" ხდებიან,
ან კი, რა სათქმელია
ფურთხი და ტალახი?
ხალისით, პალოსთან
წამს ჩაცუცქდებიან,
თუ იგრძნეს სურნელი
მაწიერ ბალახის!

3.
ეს, როგორ! სად არის
მრისხანე ფოტიგა,
როცა ორ ზღვას შუა
ფარული ლელოა?
ეს, ლელო კი არა,
ენგურზე, კუბილუს,
ნიშანი ქე როა,
ის, საქართველოა!

ო, ლა-ლა, რასა იქმს,
დე... ნატო დეიდა,
თუ ჩვენს წყალ-ჭალებში
სამმაგი ლელოა?
სუ, ჩემო, პატარავ,
ეს, აგერ, სერიდან
ლულები, რომ მოჩანს
ის, საქართველოა!

ეჰ!რა, ვი...რამდენად
წრფელად თუ ინახად,
მიიღებთ ასეთი
ყაიდის არაკებს,
ან, იქნებ, არც მეთქვა,
რომ აღარ მინახავს,
ღმერთების ენაზე
აქ მოლაპარაკე!

არადა, არც ახსნა,
არც განსჯა მიზეზის,
არ ითხოვს სიღრმეებს,
ვთქვათ, ინფომეტრიას,
უბრალოდ, როგორმე
ვირწმუნოთ, ერთხელაც,
რომ შავი შავია,
და, თეთრი – თეთრია!

4.
გახვეულს, აბურდულ
ფიქრებში, ჩემს ბედზე,
მუზის ნაზოლარა
და, წყრომით მომიხტა,
რა მექნა, მეც ხელი
ვერ ვკარ და ათასჯერ
ნათქვამის ხელახლა
დაწერა მომიხდა...

## ფორსმაჟორი
(ერთი ამოსუნთქვით)

5.
გავტეხავ უსიერს,
შევუნდობ ლუსიენს,
გავივლი თელიანს
გადავჭრი ლელიანს,
მწამს, დამეთნხმებით,
რომ პრელუდიიდან
მაჟორზე, გადასვლა
ტრა-ლა-თი ძნელია.

ტაქტს გადავაწყობდი,
მაგრამ ჩემს ჩანაფიქრს,
დრო თავაწყვეტილი
ამთავრებს რიალით,
მომსდევს და მომძახის
ამღვრეულ არედან
ნაცნობი, უცნობი
გახსნილი იარით!
სად არის მსოფლიო?

სად არის?
სად არის?
მსოფლიო არსად ჩანს,
ეტყობა, რცხვენია,
ის ახლა, შეშლილი,
შეშლილი კი არა,
არყის ხეს მიბმული
დაღლილი ცხენია!

6.
სად არის მსოფლიო?
მსოფლიო სად არის?
აფრიკა შიმშილობს
პური კი, ზღვაშია,
მსოფლიო ჭურშია,
მსოფლიო რულშია,
მსოფლიო ფულში ზის,
ფულების თვლაშია!

7.
ვივა, იტალია!
ჰანგების სამეფო,
კვლავ მრავალს გაგვიზრდის
უბადლო ტოტოებს,
გულდასაწყნარებლად,
გაერო ღაზაში
გადააქვთ ირანულ
ქველ უპილოტოებს!

ძირს დიქტატორები!
მსოფლიო, სად არის?
რატომ არ ვუწესებთ
სანქციებს, სანქციას!
რად გვინდა ამდენი
ბაჯაღლოს ღადარი,
ანდა, „უკვერცხებო"
ცივილიზაცია!

8.
განგაში მოსკოვში,
როსტოვში, „ვოსტოკში,"
ქარს გადაუძვრია
კრემლისთვის კრამიტი.
სად არის მსოფლიო?
მსოფლიო სად არის?
– აქა, ვართ! ქუხს კრინში,
7+ სამიტი!

აქედან, იქიდან
ალი და ფეთება,
ცვივიან... ვარდები?
ნო, პარდონ! ბომბები!
ელიტურ ვა-ბანკში
ძევს ნგრევა, კვეთება
და მოპირკეთება
სისხლიან ქობებით!

9.
იერუსალიმის,
მექას და მედინას
ხმები ზეციური,
ნეტა, ვის აწუხებს!
„დღეს უმჯობესია",
რაც მალე მოვირგებთ
ექსტრალიბერალურ
ყალიბის მარწუხებს!

სად არის მსოფლიო?
მსოფლიო სად არის?
მოთხოვნა ფიქსია
და, თან, უებროა,
დროს ესადაგება
გახდილი ათენა
და, შარვალ (ბოლომდე)
ჩახდილი ტროა!
დრო ითხოვს, შეიქმნას
ზეკაცობრიობა –
არც დედა როა!
არც მამა როა!

10.
და, აგე მსოფლიოც!...
მის კუთხე-კუნჭულში
მოდაში მკვიდრდება
ცხვრის ტყავის მანტია,
საწოლში, შანსონში.
ევროში, შევროში
ღუღუნებს მტრედის ხმით
ომების პარტია!

მარცხენით – დრონი დრონს!
მარჯვენით – ომი ომს!
არ წყდება ცეცხლოვან
სვავების კადრილი,
თვალგაცეცებული,
უაზრო პოლიგონს,
დაჰყურებს მჭუნვარე
მალთუსის აჩრდილი!

11.
მშობელი მიწა კი –
ცრემლების ნუგეში,
დამსხვრეულ ოცნებებს
უშლის მზის მარაოს,
თრთის ახალშობილი
დედის ცივ უბეში
და სითბოს, სანუკვარს,
დაეძებს ამაოდ...

# ახალციხის სამუსიკო სკოლამ გრანტი მოიპოვა

**ახალციხის სამუსიკო სკოლამ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ინსტრუმენტების განახლება სამუსიკო სასწავლებლებში" მიიღო მონაწილეობა და გრანტი მოიპოვა.**

მათივე ცნობით, კონკურსი ითვალისწინებდა პროექტში გამარჯვებული სამუსიკო სკოლებისათვის კულტურის სამინისტროს დაფინანსებით სხვადასხვა ინსტრუმენტების შეძენას და გადაცემას. სამინისტროსგან მოპოვებული გრანტი-



თა და ახალციხის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ახალციხის სამუსიკო სკოლამ ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი – როიალი შეიძინა.

**„მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა სამუსიკო სკოლის დირექტორს და პედაგოგებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.**

**აღსანიშნავია, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა, საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთ აქტიურ და მაღალპროფესიულ დაწესებულებას წარმოადგენს. ა(ა)იპ-ის შემადგენლობაში არის ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალეს და სოფელ აწყურის სამუსიკო სკოლები.**

**ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი ლაზარაშვილის გადაწყვეტილებით 2022 წლის სექტემბრიდან მუსიკალურ სკოლაში სწავლა ყველასთვის უფასო გახდა და საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა".**

# ერის წინაშე ვალმოხდილი გვარის ისტორია

მეშვიდე გვერდიდან

1990 წელს ტრაპიზონიდან სოლომონ II-ის ნეშტი გადმოასვენეს, ის სამეფო პატივით დაკრძალეს გელათის მონასტრის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში. გადმოსვენების პროცესში მონაწილეობდა მაშინდელი მონარქისტული პარტიის წევრი, ტყავფეხსაცმლის კომბინატის მთავარი ინჟინერი ამირან სინატაშვილი.

სინატაშვილების გვარი მცირერიცხოვანია, მაგრამ გვარში ყავთ სახელოვანი ადამიანები სერგო (სიმონ) სინატაშვილმა 1968 წელს მონაწილეობა მიიღო ლიანა ელიავას მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმში „ბზიანეთი", ამ ფილმში მთავარ როლებს ასრულებდნენ კინოვარსკვლავები – ლია ელიავა, იპოლიტე ხვიჩია, თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი, იოსებ ხაინდრავა, აბესალომ ლორია და სხვები.

2013 წელს, როლანდ სერგოს ძე სინატაშვილმა გამოსცა წიგნი ,,სინატაშვილები, ქართველები და საქართველო". წიგნი ეძღვნება გვარის ისტორიას.

(ზემოთ მოცემული ისტორიული მასალაც მცირე დამატებებით, მისი წიგნიდანაა გადმოღებული).

2020 წელს მოხდა გვარის სახელზე ფერისცვალების ხატის დაწერა, ასევე შეიქმნა გერბიც და დროშაც.

2021 წლის ივნისში სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქის მიერ დაილოცა სინატაშვილის გვარი.

2022 წელს საგვარეულო ხატი გადაბრძანებულ იქნა რიონის ფერისცვალების ეკლესიაში.

გვარში ყავთ სასულიერო პირები, რომლებიც ღვთის სიყვარულით და მართლმადიდებლური რწმენის სიმტკიცით გამოირჩევიან, მათ შორის არის: ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის სოფელ გოდოგნის მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი შიო (სინატაშვილი).

ახალი თაობის სახელოვანი ადამიანია არაერთი წიგნის მთარგმნელი ანტონ სინატაშვილი.

სამწუხაროდ, გვარი მეტად მცირერიცხოვანია, ვერც გვარის სახელოვან პიროვნებათა ბიოგრაფიების შესახებ გვაქვს მონაცემები. კარგი იქნებოდა, გაზეთის მკითხველისთვის გაგვეცნო გვარის აქტიურ წევრთა მოღვაწეობის მაგალითები. ვთხოვთ გვარის წინამძღოლს ბატონ **ჯონი სინატაშვილს** ახლო მომავალში გვარში ჩატარებული ღონისძიებების თაობაზე გვაცნობოს.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, მცირერიცხოვანი გვარის საგვარეულო დარბაზი აქტიურად უნდა ზრუნავდეს გვარის წევრთა სასიკეთო საქმიანობაში ჩაბმისათვის.

გვწამს, ამ მიმართულებით საგვარეულო დარბაზი წარმატებულ ნაბიჯებს გადადგამს.

**ვალერიან ლომიძე,**
**საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**



სინატაშვილები

# დედაქალაქის მერი განმარტავს



როგორც იცით, უეფას ერთა ლიგის 2024-2025 წლების სეზონის პირველ შეხვედრას საქართველოს ნაკრები ჩეხეთის წინააღმდეგ გამართავს. მატჩი 7 სექტემბერს, 20:00 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დიდია ქართველი გულშემატკივრის ინტერესი აღნიშნული თამაშის მიმართ, რასაც ადასტურებს უმოკლეს პერიოდში გაყიდული ყველა ბილეთი. გულშემატკივრის ქომაგობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ბიჭებისთვის. ამიტომ, ყველანი ვისურვებდით, რაც შეიძლება მეტი მაყურებელი დასწრებოდა მატჩს. მათთვის, ვინც ბილეთის გარეშე დარჩა, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება და რესპუბლიკის მოედანზე, 19:00 საათზე ღია ჩვენებას გავმართავთ. ყველანაირი პირობა იქნება შექმნილი საგულშემატკივროდ. ადგილზე დამონტაჟდება ძალიან დიდი ეკრანები, განთავსდება კვების ობიექტები. წარმატებები მინდა ვუსურვო ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთხელ გაახარებს ქართველ გულშემატკივარს.

**კახა კალაძე**

## აქეთურ – იქითური

# ბურთის ნაამბობი

**მართალია, თანდათან ძალებს საერთაშორისო საკლუბო სეზონიც იკრებს, მაგრამ არც საშინაო საქმეები უნდა დავივიწყოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა მოვლენები აქაც საინტერესოდ ვითარდება.**



უპირველესად აღსანიშნავია კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში გამართული ქართული ელ კლასიკო, რომელშიც ქუთაისის ტორპედომ **იანსანეს** დუბლით თბილისში დინამოსთან ზედიზედ მე-6 გამარჯვება მოიპოვა – 2:1 და დაკარგული ქულებით გორის დილას დაეწია. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აწ უკვე ყოფილმა ერთპიროვნულმა ლიდერმა შინ ძვირფასი ქულები დაკარგა ყველასათვის კერკეტ კაკალ თელავის კახეთთან – 1:1. კვირას ყოჩები ერთმანეთს რიონის ნაპირებზე ხვდებიან და ადვილად შესაძლებელია სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს.

არანაკლებ საყურადღებოდ გვესახება **გიორგი ქოჩორაშვილთან** დაკავშირებული სიახლეები. გარდა იმისა, რომ ჭვაროსანთა ნახევარმცველმა ლევანტეს ეფექტურად შესრულებული საჯარიმოთი სეგუნდა 2-ში ხიხონთან გასვლითი მატჩი მოაგებინა – 2:1, მისი გუნდის პოპულარული მენეჯერი **ხავი დე ლა ოსა** თბილისში იმყოფება და ესპანურ კლუბში 10 გამორჩეული ქართველი ბავშვის დასაოსტატებლად მიმდინარე შესარჩევ პროცესში მონაწილეობს. ვიმედოვნებთ, ეს კონტაქტები მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება.

გვახარებს **გიორგი ჩაკვეტაძის** მიახლოება ძველ კონდიციებთან. ამჯერად უოტფორდის წარმატებაში ჩემპიონშიფის ზედიზედ მეორე ბრძოლაში ჩვენებურმა სტოკთან წვლილი შედეგიანი გადაცემით შეიტანა – 3:0 და როგორც თამაშის MVP გახდა, ისე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

კვლავ შესანიშნავად გამოიყურება **ბუდუ ზივზივაძე**, რომელიც კარლსრუეს გერმანიის თასის პირველი ეტაპის დაძლევაში და ლოტესთან – 5:0 გამარჯვებაში პარტნიორებს გატანილი ბურთითა და საგოლე პასით შეეწია.

პირადი ანგარიში პენალტით გახსნა ავსტრიის ბუნდესლიგის წინა სეზონის გმირმა და დუბლის ავტორმა **ოთარ კიტეიშვილმა**, მისმა შტურმმა კი სტუმრად კლაგენფურტი დაჯაბნა – 2:0. აღსანიშნავია აგრეთვე ბოსნიის ჩემპიონატში სარაევოს ლიდერ **გულიაშვილის** ზედიზედ მე-3 მატჩში გატანილი მე-4 გოლი.

სამწუხაროდ, იყო წარუმატებლობებიც: ევრონა – ნაპოლი – 3:0 (კვარა ტრავმის გამო შეცვალეს), რენი – ლიონი 3:0 (მიქაუტაძემ პენალტი ვერ გაიტანა), მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა!

## ორიოდე სიტყვით

**ძიუდო**

**ლიმა (პერუ).** 28-31 აგვისტო. ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა. შოთა ბაჩოშვილი (55), მერაბ სამადაშვილი, ლუკა დათაშვილი (60), გიორგი გივიშვილი, ვასილ გამეზარდაშვილი (66), ცოტნე ბახტაძე, გიორგი მუმლაძე (73), საბა ჯახველაძე (81), გიორგი გელაშვილი ( 90), ნოდარ კობალაძე (+90).

შეგახსენებთ, რომ შარშან ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ ფორუმზე ჭვაროსნებმა 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვეს.



**წყალბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა.** თბილისის დინამო ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ მეექვსედ ითამაშებს და **„ბ“ ჯგუფში** მისი მეტოქეები იქნებიან მოქმედი ჩემპიონი ფერენცვაროში (უნგრეთი), სპლიტი (ხორვატეთი) და საკვალიფიკაციო რაუნდის გამარჯვებული.

**ხელბურთი**

**კოსოვო.** 18-წლამდელ ვაჟთა ევროპის **„ბ“ ჯგუფის** ჩემპიონატი. **ფინალი.** კოსოვო – საქართველო 30:22.

**ჩოგბურთი**

**აშშ.** წყვილთა 100-ათასიანი ტურნირი. **ფინალი.** ოქსანა კალაშნიკოვა (საქართველო), ირინა შიმანოვიჩი (ბელარუსი) – სელინი ნაეფი (შვეიცარია), თამარა ზიდანსეკი (სლოვენია) 1:2 (6:4, 3:6, 9:11).

**რაგბი**

**სამხრეთ აფრიკა.** 18-წლამდელთა საერთაშორისო სერია. მე-3 მატჩი. საქართველო – ირლანდია 15:17. **ანრი შველიძის** 2 ლელოს **გიგი სირბილაძემ** გარდასახვა და საჯარიმო დაუმატა, მაგრამ ბოლო წამებზე გადამწყვეტი დარტყმა გაუცუდდა.

ასე რომ, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა სერიის სამივე შეხვედრა მძაფრ ბრძოლებში დათმეს.

## მათი ბოლო „პილასოსშია“

# მტვერთა ღაღადი

**ხომ გახსოვთ, საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების დროს მაშინდელ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ერთგულების ლატარია რომ თამაშდებოდა და გულშემატკივართა მცირე ნაწილი შინ ნაირ-ნაირ მოგებულ ნივთთა თანხლებით ბრუნდებოდა?**

ჰოდა, ერთხელაც მეზობელ კორპუსში მილოცვებს ბოლო არ უჩანდა – ბაგრატიჩმა მტვერსასრუტით გამდიდრებულმა შეაღო ოჯახის კარი. როცა ემოციები ჩაცხრა, ფირფიტაც შეიცვალა – რა ჯანდაბად მოათრევდი ამ ჯაბახანას, არ ჯობდა, სხვა რამეში გაგეცვალა, სახლში „პილასოსი“ გვაკლიაო? – ქმარს ქოქოლას აყრიდა ვენერა.

დაღლილ-დაქანცულმა მისმა რჩეულმა ჯერ ითმინა, შემდეგ ზრდილობიანად მიუგო – ქალო, ვინ გამომიცვლიდა, ეს ხომ ლატარიაა, ნაჩუქარს კი შერგება უნდაო, ხოლო როცა ამანაც არ გაჭრა, თვითონაც აფეთქდა და სულ ორსართულიანი პოპულარული კახურით მოიხსენია ცოლოური – ჩემი სიდედრით დაწყებული, თქვენი უკანასკნელი მიცვალებულით დამთავრებული, იმ „პილასოსში“ უნდა გაბურთავოთო.

როგორც ხვდებით, ნეფე-დედოფალმა უკვე კარგახანია განუტევა სული, მაგრამ იმთავითვე უსულო განტევების ვაცი დაახლოებით ნახევარი საუკუნეა მათი შთამომავლობის განკარგულებაშია.

და აი, მივადექით საკითხს, ასეთი პარალელი რომ გაგვავლებინა:

ითავსებს თუ არა „ერთიანობად“ გადანათლული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჩვენი წერილის პირველ ტაიმში ნახსენები მტვერსასრუტის ფუნქციას? პასუხი ცალსახაა: დიახ! თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.




უპირველესად, შევთანხმდეთ, რომ ნომერი ხუთის წევრები არსად არ წასულან, ყოფილი ნაცი ბუნებაში არ არსებობს და წინასაარჩევნო კონგლომერატის შემადგენელი ნაწილები, მართალია, პერიოდულად ინდივიდუალურად მავნებლობდნენ, მაგრამ იდეურად მუდამ მამა – მიშას შვილებს წარმოადგენდნენ და როცა დაჭირდათ, მორიგ ჯერზე საპარლამენტო მანდატის დასაუფლებლად და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ისევ დედა-ღორის ძუძუმწოვრებად იქცნენ – ტკბილმა ცხოვრებამ ხომ მიჩვევა იცის.

ეს, ასე ვთქვათ, საერთო სურათი, კონკრეტულად კი ძნელია, უფრო სწორად, შეუძლებელიც, რაიმე განსხვავება იპოვო მშობელ კრიმინალურ პარტიასა და მის ვითომ გერებს შორის. მართლაც, ვამბობთ „ენმ“-ს და ვგულისხმობთ გვარამიას, მელიას, ხოშტარიას, ვაშაძეს, ხაზარაძეს, ჯაფარიძეებს, გახარიას, ზურაბიშვილს, ბოკერიას, ჩერგოლეიშვილს, სამადაშვილს, დოლიძეს, კორძაიას, უსუფაშვილს, ხიდაშელს, დეკანოიძეს, ნაყოფიასა და მათ შპანას. მერე რა, რომ 26 ოქტომბერს საერთო – სახალხო რეფერენდუმის ემაფოტზე ზოგი „კოალიცია ცვლილებისთვის“ ნიღბით ავა, ზოგი არაფრისმაქნისი პლატფორმის ლოგოთი და ზოგიც ძველ ფედერალისტთა სულებს შეაწუხებს – შესაკრებთა ადგილების შეცვლით ხომ ჯამი არ იცვლება – საბოლოოდ კი ყველანი უკვე მოხსენიებულ „პილასოსში“ დაიდებენ ბინას.

გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ იძულებული ვარ საგაზეთო ფორმატს დავემორჩილო და მათ კულტურულად მტვერი ვუწოდო.

**გია პლატონიშვილი**

# რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში?

## საქართველოში მოსახლეობის აღწერა 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება



**„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა – გოგიტა თოდრაძემ, 2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო სამეურნეო აღწერის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გამართა“, – ინფორმაციას საქსტატი ავრცელებს.**

მათივე ცნობით, შეხვედრას ესწრებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ასევე, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულიდან.

„შეხვედრა მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა ინფორმირებას აღწერის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

შეხვედრისას გოგიტა თოდრაძემ დეტალურად ისაუბრა აღწერის მიზნებისა და ამოცანების, აღწერის ჩატარების თარიღის, მონაცემთა შეგროვების მეთოდების, მეთოდოლოგიისა და კითხვარის შინაარსის შესახებ.

საქართველოში მოსახლეობის აღწერა 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება.




## ძებნილი ამერიკელი ბათუმში დააკავეს

**„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობით, ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის უწყებებთან პარტნიორობის საფუძველზე, ქალაქ ბათუმში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების ერთი მოქალაქე დააკავა“, – ინფორმაციას სუსი ავრცელებს.**

„დაკავებული პირი, არასრულწლოვანის მიმართ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ამერიკის შეერთებული შტატების აიდაჰოს შტატის შესაბამისი სამსახურის მიერ იძებნება.

ამერიკელი პარტნიორების მხრიდან საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მოთხოვნილი ღონისძიებების შედეგად, ამოღებულ იქნა დაკავებული პირის კუთვნილი ნივთები, მათ შორის, ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობები, პორტატული კომპიუტერები და სხვადასხვა სახის სპეციალური დანიშნულების ელექტროტექნიკა.

დაკავებული პირის მიმართ განხორციელდება სამართლებრივი მოქმედებები აშშ-ში მისი შემდგომი ექსტრადირების და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებების გადაცემის მიზნით“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## აყვანილია 19 პირი, მათ შორის 6 „ნარკობარიგა“

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, თბილისის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 19 პირი დააკავეს, მათ შორის 6 ნარკორეალიზატორია.**

დაკავებულები არიან, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მდმა“, „პრეგაბალინი“, „მეტადონი“, „ალფა პვპ“, „ბუპრენორფინი“, “მეპამფეტამინი”,„მარიხუანა“ და „ლირიკა“ ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად არის ამოღებული გრძელდება.

გამოძიება გრძელდება.

## სამტრედიაში მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1988**

**წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, გ.მ. დააკავეს.**

**დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**„გამოძიებით დადგინდა რომ, ბრალდებულმა სამტრედიაში, მეზობელ ქალს – 1952 წელს დაბადებულ ნ.ხ.-ს ცივი იარაღით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

**ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.**

**განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“.**



## ტკივილი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის ნატალია შავლაძის მამის

### ელგუჯა შავლაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

## ხსოვნა

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი მწუხარებას გამოთქვამს **ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის ნატალია შავლაძის მამის**

### ელგუჯა შავლაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი სასანიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი სასანია (პ/ნ 01024011082), თბილისი, შროშის ქუჩა №8-10, სართული 8, ბინა №26

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, შროშის ქუჩა №8-10, სართული 8, ბინა №26 (საკადასტრო კოდი: 01.14.11.035.026.01.501 **https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search**)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 702671.56 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 20 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 3 სექტემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101364424;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1013644

**6. მოვალე:** ირაკლი სასანია (პ/ნ 01024011082), თბილისი, შროშის ქუჩა №8-10, სართული 8, ბინა №26

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101364424; ლოტის ნომერი: 1013644).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 3 სექტემბრის 12:00 საათამდე.

## განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა – **შპს „პარვუს ბასრას“ მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარე ბჟუჟას ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) ექსპლუატაციის (სიმძლავრეების გაზრდა), 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 26 სექტემბერი, 15:00 საათი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. შემოქმედის საჯარო სკოლის შენობა.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 14 აგვისტო.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# ქართული ქალაქი რეგიონის ცენტრი ხდება!

## ბათუმი – Forbes ფურცლებზე

**„მომავალი ბათუმშია. ქართული ქალაქი რეგიონის ბიზნეს ცენტრი ხდება“ ამ სათაურით სტატიას პრესტიჟული გამოცემა Forbes აქვეყნებს.**

„შავ ზღვაზე კოხტად განთავსებული ბათუმი, რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიზნეს ცენტრი ხდება. ქალაქი, რომელიც ახლახან აღიარებული იქნა, როგორც „ინვესტირებისთვის საუკეთესო ადგილი ევროპაში“ ინვესტორებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს. ინფრასტრუქტურის დინამიური განვითარების, მიმზიდველი პირობებისა და მზარდი ტურისტული პოპულარობის წყალობით, ბათუმი რეგიონის ბიზნეს რუკაზე საკვანძო ადგილი ხდება,“ – იწყებს სტატიას **Forbes**-ის პოლონური გამოცემა.

სტატიაში, გარდა ბათუმის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებისა და სერვისებისა, საუბარია ტურისტული ინფრასტრუქტურის, უძრავი ქონების მზარდ დინამიკასა და მეგობრულ საინვესტიციო გარემოზე.

„ინვესტორების ინტერესი გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს, როგორც ევროპული გეზის მქონე ქვეყანას, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა აქვს. გარდა ამისა, ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონა საგადასახადო შეღავათებისა და გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურების შესაძლებლობას იძლევა, რაც იზიდავს მეწარმეებს სხვადასხვა დარგიდან“, – წერია სტატიაში.

წელს, ბათუმის შესახებ სტატიები ასევე, გამოქვეყნდა იაპონური ფორბეს, საერთაშორისო კომპანია **DEUTSCHE WELLE**-ს, **WANDERLUST**-ის და ცნობილი სამოგზაურო პლატფორმა **European Best Destinations** გვერდებზე.



# თუშეთში გიორგი ანწუხელიძის მემორიალი გაიხსნა




**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, თუშეთში, აბანოს უღელტეხილზე საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის მემორიალური სვეტი გაიხსნა.**

ღონისძიებას თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე, თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტი, გიორგი გოგოჭური, ეროვნული გმირის ოჯახის წევრები და თავდაცვის ძალების წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ მემორიალურ სვეტთან კიდევ ერთხელ გაიხსენეს გიორგი ანწუხელიძის გმირობა და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

# პატივგება – გმირებს!

**ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა, კობა კობალაძემ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან შეხვედრა გამართა.**

შეხვედრაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნის უკვდავყოფისა და მათ შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით ურთიერთთანამშრომლობას მემორანდუმის გაფორმების საკითხი განიხილეს.

მემორანდუმი გულისხმობს, ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზაში, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ბიოგრაფიული ლექსიკონის შექმნას, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა იმ მებრძოლის ბიოგრაფიული ცნობები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს ერთიანობას შესწირეს.

როგორც მხარეებმა ისაუბრეს, აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს სამშობლოსთვის დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფას, დაფასებას და მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ირაკლი ჭანტურიძე, სოციალურ-საკითხთა და სააღრიცხვო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ვალერიან ძებისაშვილი და ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე, მირიან ხოსიტაშვილი.




# ხვიჩა მამა გახდა!

**ხვიჩა კვარაცხელიას და ნიცა თავაძეს პირველი შვილი, ვაჟი შეეძინათ.**

**ფეხბურთის ვარსკვლავი ამ უმნიშვნელოვანესი დღისთვის ნაპოლიდან სპეციალურად ჩამოფრინდა.**

**ვინ იცის, იქნებ 21 აგვისტოს კვარაცხელიების ოჯახში კიდევ ერთი დიდი ფეხბურთელი დაიბადა!!!**

**ვულოცავთ ახალგაზრდა მშობლებს პატარა ვაჟკაცის დამიანე კვარაცხელიას ამქვეყნად მოვლინებას. ღმერთმა გვიმრავლოს!**

# იკვლევენ მოაშის მეგალითურ ნაგებობებს



**ლენტეხის მუნიციპალიტეტში მუაშის მეგალითური ნაგებობის არქეოლოგიური კვლევა დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

**მათი ცნობით, მეგალითური ნაგებობა, რომელიც შესაძლოა, საკულტო დანიშნულების ყოფილიყო, შემაღლებულ გორაზე მდებარეობს.**

„შემორჩენილი საძირკვლის ნაშთების სიმაღლე დაახლოებით ერთი მეტრია. ამ ეტაპზე მასზე არავითარი წერილობითი წყარო არ მოიპოვება. როგორც ჩანს, ნაგებობა ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დროს უკვე დანგრეული იყო, ვინაიდან, ექვთიმე თაყაიშვილი თავის ნაშრომში „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმსა და სვანეთში“ (1910 წელი, პარიზი, 1938) სასაშის თემის ყველა შემორჩენილ ტაძარსა და მასში არსებულ სიწმინდეებს აღწერს, გარდა ამ უკანასკნელისა.

მიმდინარე ეტაპზე არქეოლოგთა ჯგუფი იკვლევს შუა საუკუნეების მეგალითურ ნაგებობას, რომელიც მთლიანად მიწითა და ქვაყრილით იყო ამოვსებული. ადგილზე მიმდინარეობს აქტიური არქეოლოგიური სამუშაოები: დაიწყო ნაგებობის როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრის გაწმენდა ქვაყრილისგან. გასუფთავდა ნაგებობის სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს გარე პერიმეტრის კედლები, რომელთა სისქე 180 სანტიმეტრია. არქეოლოგების მიერ პირველადი დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა ჩრდილოეთის კედლის დაზიანება.

არქეოლოგიურ სამუშაოებს უძღვება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია ა(ა)იპ „ახალგაზრდა მისიმიელთა ლეგიონი“ პროფესორ ზვიად კვიციანის ხელმძღვანელობით.

სვანეთი საქართველოს განსაკუთრებული კუთხეა თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და კულტურული მემკვიდრეობით. მან საუკეთესოდ შემოინახა ისტორიულ-კულტურული ძეგლები. სვანეთმა დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და დღესაც მდიდარ მასალას იძლევა სხვადასხვა დარგის მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

თუმცა, დღეს სვანეთში მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების ნაწილი კვლავაც შეუსწავლელია

აღნიშნული ძეგლების კვლევა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი იქნება სვანეთის ადრეული შუა საუკუნეების შესწავლის თვალსაზრისით“.

# მსოფლიოს უხუცესი ადამიანი გარდაიცვალა

მსოფლიოს უხუცესი ადამიანი მარია ბრანიას მორერა 117 წლისა გარდაიცვალა. ინფორმაციას **The Guardian**-ი ქალის ოჯახზე დაყრდნობით ავრცელებს.

„ის ისე მოკვდა, როგორც უნდოდა: ძილში, მშვიდად, უმტკივნეულოდ“. ყოველთვის გვემახსოვრება მისი რჩევები და მისი სიკეთე“, – აღნიშნულია სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ მათ განცხადებაში.

მარია ბრანიას მორერა 1907 წელს, აშშ-ში დაიბადა, მოგვიანებით კი ოჯახთან ერთად ესპანეთში გადასახლდა. მან ორი მსოფლიო ომი, ესპანეთის სამოქალაქო ომი, 1918 წლის ესპანური გრიპის პანდემია და კორონავირუსის პანდემია გადაიტანა.

გინესის რეკორდებმა ბრანიასი მსოფლიოს უხუცეს ადამიანად ოფიციალურად 2023 წელს აღიარა. მისი გარდაცვალების შემდეგ უხუცესი ადამიანი იაპონელი ტომიკო იტოოკა გახდა, რომელიც 23 მაისს 116 წლის გახდა.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.6995; ევრო - 2.9913;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5107;**
**100 რუბლი - 2.9528; თურქული ლირა - 0.0798;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5878;**
**1000 სომხური დრამი - 6.9539.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ანგარიშის ნომერი**
**GE90BG0000000538329790**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 26 აგვისტოს**